

ივერია

1881

№ XI, ნოემბერი.



თბილისი.
ექვთიმე სულაძის სტამბა.
1881

შინაარსი:

I	ივერიის რედაქციისაგან.	
II	ზანკითხვა, ჯექსი ვ. ა-სა.	3
III	მეირიმა ანუ ბოსნელები, დრამა სუთ მოქმედებად მატეი ბანა-სი	21
IV	ნახული და გაგონილი (მგზავრის შენიშვნები).	95
V	სისხლის აღება, (ამბავი ირჯანდიის ცხოვრები- დამ) მისს ჯაჭანისა	109
VI	თეატრი, (ახალი მოთამაშეები.—მომაკვდავნი). .	141
VII	შინაური მიმოხილვა	150
VIII	პორექტურული შეცდომები	158
IX	ნეკროლოგი (უდაზვად).	

43 / 5
1881

ივერია

საოლითიკო და სალიტერატურო
ჟურნალი.

წელიწადი მეხუთე.

№ XI



თბილისი.

მეოთხე ხელაძის სტამბა, აკამანის ქუჩაზე.

1881

257
3085

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26 Октябрю 1881 г.

„ივერიის“ რედაქციისაგან.

მომავალს 1882 წელს ქურნალი «ივერია» გამოვა იმავე სახით და სიერციო, როგორც 1881 წელს გამოდიოდა.

ყურნალში იქნება სამი განყოფილება: 1) ბელეტრისტიული—რომანები, მოთხრობები, ჰუმორები, წვრილი ლექსები, როგორც ორიგინალური, ისე საუკეთესო თხზულებათა თარგმანნი. 2) წერილები ისტორიული, კრიტიკული, ეტნოგრაფიული, მოგზაურობა და სხვ. 3) ქრონიკა: ამ განყოფილებაში განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული «შინაურს მიმოხილვას.» რედაქცია ყოველის დონის-ძიებით ეცდება, რომ აზრითარი საინტერესო მოვლენ: ჩვენს ცხოვრებაში უყურადღებოდ არ დასტოვოს და შეძლებისა-მებრ ჩვენის ქვეყნის ყოველს კუთხეში იეოლიოს სახდო შინის ცხოვრებისათვის თვალყურის სადევნელად. გარდა შინაურის მიმოხილვისა, ყურნალში იქნება აგრეთვე რუსეთისა და უცხო ქვეყნებთან მიმოხილვა—რედაქცია ეცდება თვისა-და-თვის თავსუდ წარუდგინოს მკითხველს ყოველივე, რაც კი გარეშე ქვეყნებში შესანიშნავი მოხდება. სამეცნიერო ქრონიკა—წერილები სხვა-და-სხვა სამეცნიერო და ჩვენის ქვეყნელებისათვის საინტერესო საგნებზედ. მეთრი—გარეული იქნება კრიტიკულად ჩვენს სტენაზედ ნათამაშები პიესები და აგრეთვე აქტიორ-აქტრისების ხელოვნება. ახალი წიგნები—ვრცელი კრიტიკა და შენიშვნები ახალს ქართულს წიგნებზედ და აგრეთვე უცხო ენით

დაბეჭდილებსუდაც, რომელიც ჩვენს ქვეყანასა და ხალხს შე-
გებთან. სხვა-და-სხვა ამბები—მეცნიერებისა და ლიტერატურ-
რისა.

წიგნები «ივერიისა» გამოვა უოკელს თვისა - და - თვის
დამდეგს.

ხელის-მოწერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

შ ა ს ი

«ივერიისა» 1882 წლისა (თორმეტი წიგნი) 7 (შვიდი)
მანათი. ვისაც ერთად შემოტანა არა სურს, შეუძლიან ოთხი
მანათი პირველს იანკრამდე შემოიტანოს და სამი მანათი პირ-
ველს მაისამდე.

უფროსად ხელის-მოწერა მიიღება «ივერიისა» რედაქ-
ციასში, რომელიც იმყოფება მთა-წმინდაში, ხვეის ქუჩაზედ, ფა-
რესაშვილის სახლებში, № 9 და აგრეთვე შავრდოკის სასტენ-
ტოში, აღექსანდროვის ბაღთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ ფული და წერილები შემდე-
გის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлисѣ

Въ Редакцію журнала «ИВЕРІИ».

ღამეა ბნელი, ღამე წუგდაიდა :
 ცაში ვარსკვლავი არსად ანათებს,
 მაგრამ უშიშრად მხედარი მარდი
 უგზო-უგვალთ ცხესს მიჰქროლებს.
 ცაშია შავი, დღლის შველება;
 მას ეგულებება ჰატონის ნება;
 სხანს ნაცნობია იმ უგზო გზისა;
 მას ვერ აბრკოლებს სიბნელე ცისა;
 მიწის, მიჰქროლავს მერანი შავი;
 მას ძლივსღა ასწრობს მთებით ნავი,
 იმისნი თვალნი ტუცხლებს ანთიან,
 იმისნი ხალხი ნაშეწველებს ჭყრთან.
 აღვირი გისერს აქვს მიხდობილი,
 მიწის, მიჰქროლავს თავ-წინ მიხრილი.
 მაგრამ მას მხედარს რა ესწრაიება?
 ნუ თუ მას თავი არ ეხანება ?
 ნუ თუ არ დასდევს უცხო მხედარი,
 რომ ელვამ გასჭრა ბნელი ცისკარი!
 რომ ცამ იჭექა და დაიგრგვინა,
 რომ იმის გზაზედ, ახლო მის-წინა

მდინარე დიდი რისხვით მდინარეებს,
 აღელვებული მიწბის, ღრიალებს.
 ანა! არ დასდეკს; ის მხოლოდ ჰხედავს,
 გადმა, შოტს რაღაც სინათლე ბუუტავს.
 ანა! სიცოცხლე მისი იქ არის,
 სადაც მის რაში მიჭქროლავს, მიწბის;
 იქ არის მისთვის სამყარო მთელი.
 აღტქმის ქვეყანა და ცა ნათელი.
 უნდა მსედარმა იქ მიაწიოს,
 ან იმ სინათლეს თავი შესწიროს.
 სჭექს ცის გამარა, გრგვინავს და ელავს,
 მდინარის ტალღა ღრიალებს, ელავს.
 აბა, მერანო, აქ გამოხნდება
 რაც გაქვს სიძარდე და ძლიერება.
 მშვენიერია მერანი შავი
 როცა მიჭქროლავს ამაყად დოღში.
 მას ვერას ავნებო მტრის თვალი ავი
 კვალს ვერ შეუძლის ვერც ერთი რაში.
 ეკვლას წინ მიჭქრის, ეკვლას წინ მივა,
 შოტს მას მისდევენ სხვა რაში ძლივა.
 მაგრამ აქ დოღი არის სხვა გვარი;
 აქ ჰყავს რაყივით დიდი მდინარი,
 მის მძიმე ზვირთნი, მის ტალღის ელვა,
 ბნელი ცისკარი, ჭექა და ელვა.
 შენა მის თავსუდ გრგვინავს და ელავს,
 როგორც მდინარე, ცაც ისე ელავს.
 აბა, მერანო, გახვალ თუ ვერა?
 თუ მაგ ზვირთებში შენია წერა?

მაგრამ ის რაღა ღრის სხვა რაში!
 ღრის უტოლად, ვით მივარე ცაში.
 მაგრამ მის რაშის ასე წესია:
 ერთის კამართ, ზვირთთ მიესია.
 მისწვა მძიმედ დიდი მდინარე,
 მას წინ დაუხვდა ტალღა მღელვარე;
 ზვირთნი ღრიალით გარს ეხვევიან.
 «ვერ გახვალ» თითქოს ეძუებოდნენ.
 ანა! მას ზვირთი გზას ვერ შეუშლის,
 ცის და მდინარის ღელვას დასტინის.
 ფეხს ვერ იგიდებს, მაგრამ მისცურავს,
 მღიერის მკერდით, ზვირთთ ტალღას სთრგუნავს,
 მღელვავს მდინარეს შირ-და-შირ აზობს,
 ტბილის იმედით მხედრის გულს ამკობს.
 დაუხლავდა გაღმა ნაშინსა,
 მოჭკიდა ფეხი მდინარის ძირსა.
 მიუხდა ნაშინს გამარჯვებულად;
 ნაშირი დახვდა მთლად ჩარღვეული.
 ახლა, მერანო! გახვალ თუ ვერა?
 თუ შენის მხედრის მოვიდა წერა!
 რაშმა ერთს წამის მიხედა მხედარს
 და კვლავ მიუხდა ამჟამად მდინარს.
 დაჭყვავს მრისხანით მღელვავის ღელას,
 იმის ზვირთების და ტალღის რბენას.
 შენა მის თავსედ გრგვინავს და ელავს,
 რეგორც მდინარე, ცაც ისე ღელავს.
 ზვირთნი და ტალღა გარს ეხვევიან,
 «ვერ გახვალ, ვერა», ეძუებოდნენ.

მაგრამა რაში, მისტურავს, მიდის,
გავა თუ ვერა ის ღმერთმა იცის.

II

ვისია ესე მაგარ სადგური
თუმიტა მოხუცი, ვერ არ უძღურო?
აქვს მტკიცე ცისე მოკვლილი გარე,
ამაყნი კოშკნი და ვრცელი არე.
მის მფლობელია შტო დიდებულთა,
ქველთა სახელით საიუღავს ჩასულთა.
როგორც მის ცისე დახვასკბულა
ასე მის გული არ დახვარულა,
სდგას ასე მაგრად, ვით მისი არე
თუმიტ ბევრი ნახა მან ბრძოლა მწარე.
სიყრმით ბრძოლებში არის აღზდილი,
ბრძოლებში სშირად უღვრის სისხლი.
ეხლაც კი ნატრობს, კვლავ ბრძოლა ნახოს,
რომ სამშობლოსთვის კვლავ სისხლი ღვარდოს.
სწუხს მისი გული, გული გმიროსა,
ანსად არ ასმის ხმა ნაღარსა.
სჭმუნავს და ოხრავს მოხუცი ქველი!
მაგრამ მას უევარს მოთხრობა ქველი,
თვის მერობლებთან ძველს დროს იგონებს,
მით გულის ჭმუნავს. სევდას იშორებს,
აჭა ბრძოლა, ფიცხელი ბრძოლა.
ესმის ყიყინა, ნაღარა, სროლა;

ორის მხრით სძალი კრიალებს, კლავს,
 თიანთელი ბრძოლა გრგვინავს და ღელავს:
 ღელავს მის გული, თოფს, სძალს მისწვდება,
 მაგრამ ორმ ოცნებს, მოაგონდება,
 ამოიხსნავს, ჩაჭყიდებს თავსა,
 «ღმერთო შევესწარ რა დროს მე ავსა»
 უყვარს სამშობლო მიწა-მამული;
 მის ისტორიის დიდი რვეული
 გძელი და ბნელი ხშირად წინ უძევს,
 აღმოიკითხამს და ცრემლთ ცხარით აფრქვევს.
 უყვარს მას წმინდა ქრისტეს ტაძარი,
 ძაღლით ზარის ხმა, წირვა, ცისკარი;
 შვეა ტაძარში, ღმერთს დღისთვის ჭმადლობს,
 ჭგალობენ სხვანი. ის მათთან ჭგალობს,
 უყვარს მოხუცსა თვის გლეხნი, ყმანი,
 მისთვის ის ყმანი აჩიან ძმანი,
 მათთან ნადიმი და მათთან ღსენა,
 მათ საუბარი, უმზაკვრო ენა.
 ყმას ჭყავს ჰატრანი, არა ბატრანი
 კრთნი აჩიან ყმა და ჰატრანი.
 მაგრამ მის შველა, მის სინარული
 არის მის მტრედი, მისი ასული.
 ვარდი თუწნქნილი გაზაფხულისა
 ტურთვა ვარსკვლავი განთიადისა.
 როგორ! მის ასულს სხვა ვინმე უყვარს,
 გძირი ვერ გულხმობს სიყვარულს ამ გვარს,
 მოხუცს არა სწამს ის სიყვარული,
 არ იცის გძირმა დიატოა გული.

სურს თვის ვარსკვლავის მას გათხოვბა
 წესით და რეგულარულად ან ჩვეულებად,
 მის საქმით თითონ ჭყავს არჩეული
 სიმხნით, სიძველით სასულ-განთქმული,
 დიდის გვარისაღ მარტო შტო არის,
 მაგრამ ასულის გული სხვაგან რბის;
 ასული სტირის, მამა არ ისმენს,
 ასული მამის უარს ვერ ითმენს.
 ვინც უყვარს მხოლოდ იმას წაჭყვება
 და ან უდროოდ საფლავს ჩაწვება.
 შუაღამეა, მოხუცსა სძინავს,
 სძინავს, არ ესმის, რა სჭექს და გრგვინავს;
 სძინავს და ხედავს უცხო სიზმარს
 დიდი ყრბობა არის მის კარსა;
 არის ნადიმის დიდი მზადება,
 მისვლა და მოსვლა, მხიარულება.
 ისმის სტუმართა ხმა მხიარული,
 ეგვლას აქვს ნათლად სახე და გული.
 ჭხედავს: მხედარნი შორით მოდიან,
 მღერენ: «მოკდივარო, მოგვიხარინ!»
 მღერენ და თანვე ცხენზედ მარდობენ,
 თოფით, დამბახით, ხმლით ნაკარდობენ.
 ჭხედავს საწოლში მძიმეთ მორთულსა
 თვისთ თვალთ სინათლეს, თავის ასულსა;
 მას ტოლნი ქაღინი გარს ესვევიან,
 «რა ტურფა რამ ხარ» ეუბნებიან,
 ფაშით, ჯაჭვებით, აღმასკებით რთვენ,
 თვალთ უგონიან, უაღვრესებენ.

სასძლე ასული მშვენიერია.
 უხარის მოხუცს, ბედნიერია.
 კმაჯა მოხუცო! ეგ არს ზმანება,
 არს მხოლოდ ავი, ცრუ მოლანდება.
 გამოიღვიძებ, გმირო საბრალე,
 შენს უუტს მოაწევს ხმა საკადალე,
 რომ გაგითენდა დღე ბნელი შავი,
 რომ შენი ვარდი, შენი ვარსკვლავი
 შენს ციხე-კოშკში აღარსად არის,
 რომ სხვის არეში მნათობს და ჭკუავის.
 დაახშობ შენის სადგურის კარსა,
 თავზედ მოიყრი მტვერს და ნაცარსა,
 დასწეველი შენს დღეს და შენსა არეს
 და შენთ ჭკველთ მამათ ჩახვალ სამარეს.

III

დასდგა ცის გრგვინვა; ცამ მოიწმინდა,
 ვარსკვლავებითა, მთვარით გაბრწყინდა.
 ილევა ღამე, განთიადია,
 მთიები ცაში კიდევ ანთია;
 ჯაჟვარდის ფეხათ ზენა ლურჯდება,
 მთიები ცაში თრთის, ბუბუტავს, ჭჭრება;
 მზის წინ მორბედმა, სხივმა ცხოველმა,
 მზის ამოსვლისა მახარობელმა,
 კამარა ცისა გააშო, გასჭრა;
 ტურფად მბუბუტავი მთიები გაჭჭრა.

მაგრამ თვით სხნდება მათი ქვეყნისა,
 ელვარე ალით, ტანი ცუცხლისა;
 დიდთ მთებთ რიგთ უკან მათი ამოდის
 და სხივს ელვარეს ცუში უხვად ღვრის;
 ამოდის ხელად და დიდებულად;
 ამოდის, სხნდება, გამოსხნდა სრულად;
 ცა და ქვეყანა ანთო სხივით;
 დიდი ბუნება აღსდგა თვის ძილით.

ვხედავ გაბწეინდა მზით ამაჲ დიდთა მათთ რიგო,
 ზოგჯან უძირო უფსკრულებით გაჭრილა იგი;
 ზოგჯან მის წვერნი დიდებულათ ცამდინ ასულან
 და ვით გვირგვინით ყინულთ და ხავსით მოართულან.
 მას სმეტავს გვირგვინის მზე კერ აღნობს ჭკერას ავნებს;
 ძვეს საუყუნოდ, მხოლოდ მზეზედ ვით მზე ელვარებს.
 მათ მათთ ზირ-და-ზირ სდგას ჭ მისდევს სხვათა მათთ რიგო;
 არ არს უძირო უფსკრულებით გაჭრილი იგი;
 იმისნი წვერნი ცის კიდემდის არ აღმართულან;
 ხავსით, ყინულთ არ მოცულან და არ მოართულან.
 დიდთა მათთ რიგო მას ამაჲდ შორით დასცქერის,
 თითქო სურს უთხრას, დააყვადროს, თითქო დასცინის:
 «თუმიცა მდელოთი ზურმუხტის ფრათ მთლად შემოსილხარ;
 თუმიცა ტუკებით და ბუჩქებით ტურფად ფურჩქინილხარ
 და შენს თავზედა გადმოსულა მადლი ციური,—
 მაგრამ ჩემთან ხარ მაინც ბაღლი და უსუსური.»
 რთ მათთ რიგთ შუა გარდაშლილი წევს ვრცელი კელი,
 მარად ბწეინვალე, მზის სხივითა მარად ცხრაკელი,
 მოწყვლე ღვთისგან დალოცვილი და ბედნიერი,

მათ ღრთ მათ რიგთა გამოზდილი და ნუბიერი.
 ღრნივ ღრის მხრით სიყვარულით მას დასტკეობას;
 დაცხება, — ნიავს სუნელავანს მას უგზავნიან,
 მის გუფს და წიადს ცვარით ნამენ და აზრილებენ,
 წყალთა ნაკადით. თვის წიადით, რწყვენ, აცხოვლებენ.
 იზიდვენ თითონ სეტყვას, მესსა და ქარიშხალსა.
 რომ მოაშორონ თვის სიყვარულს, მშვენიერს ველსა.

მშვენიერი ხარ სამოთხე ველა,
 დიდის მოთხრობის წიადში მცველა.
 მადლას მწვანე მითთ გიმწერ და გიმწერ,
 შენს დიდს შვენებას სულს და გუფს ვიწერ.
 გიმწერ და თვალი ველარ გშორდება,
 გიმწერდე მარად გუფს ენატრება.
 მშვენიერი ხარ სამოთხე — ველა,
 შენთ გმირთ მეთ მკალთა და სისხლის მცველა.
 მწარე ბრძოლები რაც შენ გინახამს,
 აწინდელს შენს მეს არ სჯერას, არა სწამს.
 მკელთ დროთ მე შენნი მწარედ იბრძოდენ,
 ფებს არ იცვლიდენ, იხრებოდენ,
 და აწ ხარ ტურფად განშვენებული,
 დიდის მეფისგან გაშენებული.
 რასმე ყოფილას ის მეფე გმირი;
 ეხლაც სდგას მისი დიდი სადგური;
 მაგრის კოშკებით, ცხინთ მოართულა,
 მადლიდგან შენსედ გამოვიდულა.
 იქიდაძე თურმე გმირი გეტრფოდა,
 გეტრფოდა თურმე და მას ფიქრობდა

რომ დანაგრული კვლავ გაგაშენოს,
 რომ წალკოტებით კვლავ დაგაშენოს.
 მშენებელი ხარ სამთხეველთ,
 გულის, სულისა თვალთ წამტაცველთ;
 ედემის სწორად დმოტმა დაგნიშნა,
 კაცთ საფუფუნოდ შენ გაგაჩინა.
 მაგრამ შენზედაც კაცი არ სცხრება;
 მას სდევნის მარად სხვა-და-სხვა ვნება.
 აჭა მას ველზედ მდინარის ნაპირს,
 ვხედავ მხედარსა, ტანად-პირად გმირს;
 მთლად შეჭურვილა იარაღითა,
 თოფით, დამბანით, ხანჯლით და ხმლითა;
 რაღაც კვალს ეძებს გაშფოთებულთ,
 ძლიერად უძგერს მას მკერდთ-ქვეშ გულით;
 ჭიჭირობს: განმიქერ შენ მე მთიებო;
 ან შენს სისხლს დაუღებ, ან შეგაკვებო.
 დილას გრილი, მაისის დილას;
 მხედარი იწვის, მხედარს არ ჭგრილას;
 ბუღბუღი ბუჩქში ჭგალობს და უსტვენს;
 მხედარი ციურს მგოსანს არ უსმენს;
 მდელო ნამითა აღმასებრ ბრწყინავს,
 მის დიდს შეკნებას ვერ გრძნობს, ვერ ჭხედავს.
 ფუფუნებისთვის მას არ სცაღიანს;
 გულს სისხლი აწევს, სისხლი სწუერიან.
 დაჭქროლავს ველზედ როგორც უგონო,
 როტავს: «გიპოვნო, უნდა გიპოვნო.»
 უცრად შედგა, იპოვნა კვადი,
 სისხლით და ტეტხლით აენტო თვალთ.

მას მიჭყვავ, მის კვალს თვალს ან აშოკებს,
 ხან წყნარად მიდის, ხან ცხენს აშურებს.
 რისხვით ხან კივის და ხან იტინის;
 ვინ მოჭკლავს ვისა, ის ღმერთმა იცის.

IV

სამეფო ტახტზედ ზის მეფე ქველი.
 ოქროს გვირგვინი მის თავზედ ბრწყინავს,
 მეფე მოწყალე, მეფე განმჯელი,
 რა გათენდება ერისთვის ზრუნავს;
 თავის სამეფოს თითონ განავებს,
 არ ანდობს თავის ერს მოხელებს მძლავრებს;
 არის გულ-ღია და მოცინარე,
 მაგრამ დღეს ფიქრი რაღაც აქვს მწარე:
 ნათელი სახე მოღრუბლულია,
 მალაღი შუბლი მოჭმუსვნილია.
 სწუხს მისი გული, ჩვილი და ქველი:
 უნდა განსჯონ დღეს მოძმის მკვლეელი.
 მის მარჯვნივ, მარცხნივ დგანან მსჯულნი,
 მსჯელათ მთავარნი და დიდებულნი.
 სდგას მეფის წინა ვინმე ასული,
 მდიდრის შვილებით ღვთისგან მოართული,
 მაგრამ მის ცხოველთ, მშვიდებით თვალებს
 ვით კვლავ ნათელი დღეს არ უნათებს;
 გიშრის თმა კავი, გიშრის დალაღი
 უწნავი მსრებზედ აქვს გარდაშლილი.

მის სხეტაკს ღაწვზედ ცრემლი ელვარებს,
შიშით მოელის მეფე რას ბძანებს.

ბძანა მეფემან: «ვით დაისჯება,
ვინც შეუწადნ-ჭყო თვის მშობელთ ნება;

ვით დაისჯება იგი ასული
ვინც შეუწადნ-ჭყო თვის დანიშნული,
თვის დიდი გვაწი ვინც დაივიწყა
და უცნო ვისმე უსირცხოდ წაჭყა.»

იდუმალ არის მსაჯულთა კრება;

ტურფა ასული მას ეხანება.

მაგრამ მეფის წინ წარდგა ასული;

«მეფე, არ იცი შენ სიყვარული.

შენ გიყვარს მეფე შენი ჰორფიანი,

შენ შენი ერი, ქველი და გმირი,

გიყვარს შენ შენი სამეფო ტანტი,

შენი ბრწინვალე ოქროთ-შალატი;

შენი გვირგვინი თვლებით ელვარე;

შენ სიყვარული არ იცი მწარე.

შენი გულია განსკვნებული;

არ იცი, მეფე, შენ სიყვარული.

მე კი მეფეო სხვა-გვარ მიყვარდა;

ის სიყვარული გულს ალით მწვამდა.

ქვეყნად მიყვარდა მე მხალად ერთი,

ის ჩემთვის აყო ამ ქვეყნად ღმერთი.

რა კი ზირველად მე ისა ეხანე,

მთლად ჩემი არსი მასში დაუსახე.

ჩემთვის მზე მხალად მითი ნათობდა,

გული მარად წამს მის გრისკენ რბოდა.


მის მშვენიერო, ნათელი სახე
 ჩემთვის შეიქნა უწყალო მასე;
 მას ვერ ვხედავდი, გონესოდ სული,
 იტანჯებოდა უწყალოდ გული.
 ჩემმა მშობელმა სსკანედ დამნიშნა;
 გულმა ხელმწიფე ვერ მოითმინა,
 ბრძოლით დავსუსტდი და გავიტანჯე;
 წავუკე მეფეო, მეფეო დამსაჯე.»
 შუბლს დაეწერა მეფეს ღრმა ფიქრი.
 ნუ თუ ეს გრძნობა ქვეყნად არს ხშირი!
 სდგას მეფის წინა ჭაბუგი ვინმე;
 სასეხედ უჩანს მას ფიქრი მძიმე,
 მაგრამ მას ერი გძირად უწოდებს
 მას არ ეშინის მეფე რას ბძინებს.
 ბძინა ხელმწიფემ: «ვით დაისაჯოს
 ვინც მოძმის ძრახვით სისხლი დაღვაროს?»
 მსაჯულთ წარმოთქვას სიტყვა: «სიკვდილი!
 მოძმის მკვლელს ქვეყნად არ ჰქვას ადგილი.»
 მეფის წინ წადგა ჭაბუგი გძირი:
 «მეფეო ესლაც ვარ ცოცხლადვე მკვდარი.
 სიკვდილი ჩემთვის რა სასჯელია,
 საფლავი ჩემთვის სანატრელია.
 ქვეყნად სიცოცხლე სხვისთვის მიხდოდა,
 ჩემი სიცოცხლე ჩემთვის არ მქონდა.
 მნათნი ვარსკვლავნი, მზე და მთავარე,
 რა ვარსკვლავებით მდიდრად ელვარე,
 რაც ცის ქვეშ სხვისთვის არის ნათელი
 ამიერ მეფეო ჩემთვის არს ბნელი.»

ჩემს გულს სიტხროვლე, მეფევე, აღარ აქვს,
 როგორც მოწვევტილს მთიდგან სალა-ქვას,
 მე აღარ მეღის ამ ქვეყნად შვება,
 სიკვდილი, მეფევე, გულს ენატრება. »
 მაგრამ დაემხრო ტურთა ასული:
 «მეფევე, მხოლოდ მე ვარ ბრალეული;
 დედის ერთას, დიდო ხელმწიფევე,
 ხელმწიფევე ქველო, მეფევე მოწყალევე,
 მაგის მშობელნი გებრალბოდენ;
 მათ ცის მნათობნი არ დაუბნელდენ,
 ეგ არის მათი მზე და მთლვარე:
 ნუ დაადგებათ მათ ეტლი მწარე. »
 სტირის და ჭკოდებს ტურთა ასული:
 გამხიარულდა ხელმწიფის გული.
 ბძანა მოწყალევი და დიდებულმა:
 «მეც მოგიტევე ვით ამას სულმა;
 იყავ ამ სოფლის კვალადცა მგზავრი,
 წადი და მოძმის სისხლს ნულარ დაღვრი.
 მამულისათვის შენ ხარ საჭირო,
 შენს მამულს თავი უნდა შესწირო
 და შეიწყალებს დიერთიც შენს სულსა
 თუ რომ შესწირავ თავს შენს მამულსა. »

V

არს მონასტერი განდგომილთ დედათ;
 მალაღს მთაზედა სდგას ის ღიბონათ, —

ადგილი მწიწი და უღაბური
 კაცთ საცხოვრებლად მსული სადგური.
 თრიალთ სალა ხეს არ აგვარებს;
 რუმესტი მდელთ თვალს არ ახარებს.
 მუდრთა, ხუმი, მის ტაძრის გარე,
 ვით სასაფლათ, გარდაცვლილთ არე.
 მსოფლად მის ზანი თვის დიდებულს ხმას
 ასმენს დღე-ღამე დაბლა სეობას.
 სეობის ურნი იწერენ ზირ-ჰვარს
 და თაყვანს სცემენ შორით მას ტაძარს.
 წმინდა დედანი იქ მოღვაწებენ
 და სოფლის ვნებათ იქ ივიწებენ.
 ღვთისადმი სული აქვთ შეწირული,
 მსოფლად ღვთისათვის მათ უძგერთ გული.
 მაგრამ დღეს ისმის სშირად მის ზანი;
 არის მოცული ერთი მის კარი.
 იქ შეურილია მთელი სეობა;
 იმ დიდის ტაძრის არის დღეობა;
 ის დღე არს დიდი დღესასწაული.
 ტაძარი არის განბრწყინებული;
 ისმის გალობა, კედლებს ღვთისა,
 საკმელის კმეკა, საღმრთო ხმა ღვდღისა.
 მაგრამ ვინ არის იგი ასული,
 მშვენიერებით მარტო მორთული;
 სდგას ღვდელთ-მთავრის წინ სამოსლით თეთრით,
 მსრებს გარდაშლილით გიშრის თრის თმებით.
 გულზედ უწევია მას ნორჩნი მკლავნი;
 მიმართულნი აქვს მადლა ცათ თვალნი;



ობოლი ცრემლი წამწამსუდ ბრწყინავს,
 თვის გარეშემო ვერა წას ხედავს.
 ქვეყნად აღარ არს იმისი სული,
 მთლად არსით ცაში არს დაკარგული.
 ის აღარ არის ამა ქვეყნისა,
 მაგდალინა გვიდარჩენისა.
 მის გარე დგანან წმინდა დედანი,
 ხელთ მათ უბურიათ წმინდა ლამაზნი.
 მას მღვდელთ-მთავარი ჰქვევს გიშრის თმისა,
 ლაღვით და ცრემლით ახარებს მასა,
 ვინც მხალელ ერთი გულთ-წულულთა ჰქუენავს,
 ვინც ცოდვილთათვის მამებრივ ჩრუნავს.
 რაც გაიტანჯა ამ სოფლად, კმარა,—
 მის არს ნუგეში,—შავი მარხარა,—
 მწუკდადს სამარეს თან ჩასატანი;
 იმითი მორთეს მის ხორხი ტანი.
 დასრულდა სრულად, დაბრუნდა ერი;
 დაიხშო მძიმე მონასტრის კარი.
 ასული სოფელს აღარ ეკუთვნის.
 იმ უდაბურში დახშული არის,
 თვისს სინდისთან და მალდა ღმერთთან
 კაცთა გულისა მხილველთან ერთთან.
 მოწულე ჰქუენავს მის გულას წულულსა,
 იგი უცნოვლებს დაკრდომილს სულსა.
 მაგრამ მას ხშირად კვლავ აგონდება,
 წარსული ხშირად მას ელანდება:
 მას ეზმანება სამომხდელ კელი,
 მის მწვანე მდელო, მის მრე ცხოველი;

ის ცისე-გომეზნი, ის ვრცელი არე,
 მათზედ მნათობნი, კარსკვლავნი, მოვარე.
 ის ღამე ბნელი, ხმა იგუსტ ცხენისა
 და საშინელი წუგეკლას მამისა.
 მას ეზმანება იგი მსუღარი,
 გულთ მას ხელად სწკეთს სისხლის ცვარი.
 ტაძრის სალა-კლდის ქვას დაემსობა
 და ღვთის წინ ცხარის ცრემლით იღვრება
 და იგი ცრემლი, ცრემლი ნათელი
 ცათ იმართება, ვით საკმეველი.

VI

მაგრამ სად არის ჭაბუგი გმირი?
 იმ დღით თვის სასლის სტუმარი ძვირი!
 მას ძვირად ხელავს იმისი არე,
 ის არის სადაც არს ბრძოლა მწარე.
 სად მამულისთვის გმირნი აბრძვიან,
 სადაც სჯულისთვის ახრცებიან.
 რომელს მხარესაც არს გაჭირება,
 იქ თავის რაზმით დაიბადება.
 მიაწვა მტერსა, —სადაც არს მტერი,
 მტრის ნაცვლად არის გომლი და მტვერი.
 მაგრამ ხან-და-ხან მსწრაფლ ჩაიქრდება,
 რაღაც წარსული მოაგონდება.
 მას აღარ ახსოვს, რომ არის ბრძოლა,
 არ ესმის, არის იგიცხელი სროლა

ყუჩს კელარ უხმობს მხედართა გრიასს ;
 ის კელარ ჳხედავს მათ ხმალთა კრიასს.
 მის მხარეს ტყვია, ვით სეტყვა მიდის,
 მაგრამ არ დასდევს, ფიქრით სხვაგან რბის.
 მის გული ცხელმა ტყვიამ განჭგიძირა,
 სამშობლად მამულს თავი შესწირა.

მ. მ.

მეორემა ანუ გოსნელები.

დრამა სუთ მოქმედებად.

მატეი ბანა-სი.

(თარგმანი).

მოქმედნი ზირნი:

ალი-ფაშა, ქალაქ ვისოკოსი.

მეირიმა, ამისი ქალი-შვილი.

შერიფა, მეირიმას მოახლე.

ჩამილ

ფეიზ

რუსთან

დურათ

} ქალაქ ვისოკოს ბეგები.

ასან-ალა.

მსმან-ბეგ, მეირიმას საქმრო.

ნოვკო, მოხუცი ბოსნელი.

ჰივან, ნოვკოს შვილი.

ვლახუშა, ნოვკოს შვილი.

ლუბიცა, ყივანის საცოლო.

პეტკო, აჩამბაშა, ჭაიდუკების წინამძღოლი.

რადატ

სტანიშა

იმქუშა

წვიან

მილუტინ

} უშირეკელისი ჭაიდუკები.

მუკ.

ალი-ფაშას მსახური.

მეზირის კაცასი.

საპურობილის მცველი.

შეიარაღებული ოსმალები.

ჭაიდუკების ჯარი.

მაყრები თავის მოსამსახურებით.

მოქმედება ჰირველი.

(დიდი ზალა ალი-ფაშის სასახლეში. კედლების გარშემო ოსმალის საპატრიო პირნი ფენ - მოკეცილნი სხედან და ნარგილეს სწევენ. ამათში სხედან: ალი-ფაშა, ჩამილ, ფეიზ, რუსთან, დურათ, ოსმან-ბეგი და ასან-ალა.)

1-ლი სანახაში.

ალი-ფაშა. აი სომ მოისმინეთ ახალი ფიქმანი. ახა თვით-
ვეუღმა ცალკე ბძანეთ, რასა ჭიჭიჭობთ ამ ფიქმანსედა.
ფეიზ. აქ რა ბეგრი ღარი და ხაზი უნდა. ისიც კმარა, ღმერ-
თმანი, რომ მაგას ყური ვათხოვეთ. აიღე და ეგ ფარა-
ტინაც იქ მიაგდე, საცა სხვა სტამბოლის ფიქმანები
გიყრია. დეე, ეგეც იმათთან მტკვერმა და ჩრჩილმა შეჭ-
კამოს.

რუსთან. აი, ღმერთმა დასწეველოს ტრანდის კეზირი! ტრე-
ხლზედ ნავთს ასხამს, მაგრამ ტრეხლი ჩვენს ხელშია და
მოგონი თვითონც შიგ ამოიბუგოს. ამ სულთანის ფიქ-
მანებმა თავი მოგვაბურნა, მეტადრე ვეზირისამ. ყოველი
ახალი ფიქმანი უწინდებზედ უარესია. თვითეული მათ-
განი ცდილობს ცუდილება რამ მოახდინოს და იმ საძა-
გელს რაიას ტვირთი რაშიმე შეუმსუბუქოს. სხვის არა-
ვის ჯავრი არა აქვთ. თვითონ ხორცს მიამდებიან და

ჩვენ კი მარტო ძვლებს გადმოგვიყრინან. მაჭმადის რჯულსა ვჭედიცავ, რომ არავის ძვლების გამოხედავს შეჩვეული არა ვარ და ნამეტნავად ოსმალების ძვლებისას. შოროს ჩემგან. მე ჩემი ვჭსთქვი, ესლას თქვენ იცით!

დურათ. რასაკვირველია, რომ ჩვენ იმათ ძალებსავით არ მივსევით და არას წავართმევთ. ბოსნიას, მართალია, სულთანს ეკუთვნის, მაგრამ ჩვენი კუთვნილებაც არის, და ჩვენი უფროა ვიდრე სულთანისა. ის მიფლობელობს მხოლოდ სახელით, და ჩვენ კი ნამდვილად ვფლობელობთ. იმისი ნაბოძები ჩვენ არა გვაქვს-რა. რაც გვაჭირავს, მამა-შაშითვე გვაჭირავს. როცა ჩვენი მამა-შაშანი იყვინენ, მამინ ოსმალს ხელმწიფის ხსენებაც არ იყო ქვეყნიერებაზედ; და ესლას როცა მოუწადინებიათ ყველაფერი, წავგართვან და ეგრე სამარცხვინოდ გვხდიან, ჩვენ ყველანი დავიხრცებით და მაგ დღემდის კი არ მივაყვანიებთ საქმესა.

ჩამილ. მართლსა ბძანებ დურათ! მხოლოდ ნუ აჩქარდებით. ჯერ ვნახოთ, ბოსნიის სხვა ბეგები რას გვიჩვენებენ. ხმლის ამოდება ქარქაშიდამ ყოველთვის ადვილია... მაგრამ ჩაგება კი უოგჯერ ისე ადვილი არ არის. ვინც ჭკვიანურად ღოდინობს, რასაც ელის, მოუგას.

რუსთან. ოსმან-ბეგ, შენ როგორა გგონია, თავ-მომწონე კრანის დაემოწილება ხონთქარის ფირმანს თუ არა?

ოსმან. არ ვიცი; ჩემად კი ვიტყვი, რომ — დაემოწილება. კრანის ხომ ბევრჯერ წაჭსჩხუბებია ოსმალებს ბოსნიის გულისათვის, და ბოსნიას კი დონიჯ-შემოყრელი იდგას და არხეინად შეჭყურებდა იმ ჩხუბსა. კრანის ესლას გონებაზედ მოვიდა.

ასან. მაგაების გახსენება ესაა რა საჭიროა, მძობილა?! ეს-
 ჯაა რა მაგის დროა! თუ ჩვენ ყველაში ერთმანერთს მსა-
 რი არ მივეცით, ერთსეუდ არ დაკდექით, მგონია ასეთი
 დღე დაგვადგეს, რომ არას დროს არ დაკვდვომოდეს.
 ფხიანი კიდე ფიქმანისა გვიმტკიცებს, რომ სულთანს
 ესაა აღარა ჭნუძრობს.

რუსთან. ბებურს ვეზირს მოსტარისას მანინგ ხომ შეიძლება
 მივენდოთ?

ჩამილ. მე უფრო ციდანის იმედი მაქვს. შენ განა არ იცი,
 რომ ყოველი ვეზირი მოსტარისა ცბიერია? ის მუდამ
 ყველასაც არის და არც არავისა. იმას ვერც თავით და-
 იჭერ და ვერც კუდით; ხელიდამ ყველას თვეზივით გა-
 უსხლტება. არა, იმის შეკლას გუნებაშიაც ნუ გაკითა-
 რებთ.

პლი-თაშა. როგორც გატყობთ ღაშაჩაკსეუდ, თქვენ უთან-
 ხმოებისა გეშინიანთ. ძალიან კარგია, რომ ეგ შე-
 ნიშნეთ. მამ ჩვენ შორის შური და მტრობა ყოფილა;
 ამას გაგუნაწილებავართ. ჩვენ ეგ შური და მტრობა ღა-
 ხესა გვხდის მაშინ, როდესაც წინ გვიდგას რი მძლავ-
 რი მტერი, ერთი რაია, რომელსაც ჩვენის ჯავრის ამოყ-
 რა სურს და მეორე სულთანის ჯარი. ახა მოიფიქრეთ
 და მიზასურეთ: ტყუა იქნება ჩვენგან, რომ ამათ წინ
 აუუდგეთ?

ღურათ. რაიებსეუდ რად ღაშაჩაკობ? თქვენ ყველგან მტერი
 გელანდებათ. საკუთარის აჩრდილისაც კი გეფიქრებთ. და-
 ბალი ხალხი საკმაოდ არის შეშინებული და ესაა რჩო-
 ჟას ველარ გაბედავს. ვსთქვათ, რომ გაჭბედა კიდეც,
 ჩვენ იმათი დამარცხება არ გავგიჭირდება. თვით ხელ-

ძწიფის ნიზამისაჲ ძნელი არ არის; ნიზამსა და რაიკ ბუა ბეკრი არათუკი განსხვავებას. რომელიც გინდათ ჯარის-გატი განსხვავებთ ბოსნიასში, — ერთიც არ დაუდარებთ იუნაგსა: ისე უძღუონი და უღონონი არიან, რომ ძგონისა პირველ თოფის გასროლასუდგე პირ-ქვე წაწვენ. მე გაბედვით ვიტყვი, რომ ერთი ოსმალო კარგად გაუძღვება სამს კაცსა. ოღონდ ერთი პირი შეგვრათ და მხარი მხარს მივცეთ და მამინ იმისთანა მეომრები ჩვენ ვერ შეგვაშინებენ.

პლი-ფაშა. უმაწვილო-გატი, ძალიან ვაყ-კატურად ღაშაჩაკობ, ძალიან ვაყ-კატურად, ძაგრამ უსაფუძვლოდ ვი. ბელგრადშიაჲ აგრე ღაშაჩაკობდენ, ძაგრამ ჩვენ ხომ ვნახეთ რომ ბელგრადის კედლებსუდ იმათი თავები ეკიდა და რაიამაც თავისუფლება მიიღო. სწორედ ასე ჭიჭიჭობდა ნიზამსუდ ზმაი-ბოსნიელიცა კეში, რომლის წინაშე სტამბოლი ძწოდა და თვით სულთანის კარსკვლავსაც შუქი მოაკლდა. ძაგრამ, ბოლოს ვი ვნახე რომ შალამის მინდროსუდ, სავის გაღმა, დაამარცხა იმავე ნიზამმა. მეჩე ხომ სტამბოლში მოკვდა კიდეც. ჩვენ ხომ ისინი აღარა ვართ, რაც ვუფილვანთ უწინ. უწინდელი თავ-მოწონება ვი შეგვრჩა, ძაგრამ უწინდელი ერთ-სულობა და ვაყ-კატობა აღარ დაგვრჩენია.

ჩამილ. ჭეშმარიტია! ბეგრჯელ შევსკედრივართ საომრად სულთანის ჯარსა, ძაგრამ იშვიათად მომხდარა, ნამდარი აღგილი ჩვენ შეგვრჩენოდეს და თავის დღეში არ დაგვიმარცხებია. რაც უფრო ძლიერ ვებრძვით სულთანსა, იმდენად უფრო გვაკლდება ძალა და ღონე. და როდესაც ჩვენ ძალა და ღონე სრულებით გავკვირება, მამინ

რათა ცოფიანსავით მოგვესეკა და ჩვენს სასკლს სრულებით გააქრობს ბოხნიაში.

პლი-ფაშა. აჭა, ჩამილ, ესლას სომ შენც მეთანსმები მე; შენ ძალან შორსა ჭხედამ შენის გამჭრიახის ჭკუით! ჩვენი ძალა და ღონე თან-და-თან ჭჭრება და კვლუბობს, რაიების ძალა და ღონე კი იმ შავ-გიორგის დროს აქეთ თან-და-თან მატულობს და მრავლდება. იმას სასკლად შავს ეძახიან, მაგრამ მისი სახსენებელი სახელზედ უფრო შავია! რაიები ესლას სულ სხვაობი არიან: გაბედვით ლაზარაკობენ და უფრო გაბედვით ჭიჭირობენ; რაღაც ქართი გაუწყვეტლად უბერავს იმათ იმ დაწყვეტილ შუმიდიიდაძე, ჯ უბერავს იმდენს ხანს, მანამდის თავებს სრულად არ გაუბერავს. აი, ესლას, აბა ერთი სერბიის დროსა გამოიტანონ, ან ერთი წარბაწინის ქუხილი გაიგონონ; მე ჩემს თავს სახამლათა ვზღებ, რომ ვეკლას ქრისტიანი ბოხნიაში თუგზედ წამოდგება, როგორც ერთად-ერთი კაცი. ვინ შეაყენებს! ან, უფრო უარესი—ვიღა გადუდგება წინ? ყოველგნადაძე მათი მოძმენი ქრისტიანები მოეშველებიან. ჩვენ კი აბა ვინ? შველას საიდგან უნდა მოკვლადეთ? ჩვენ მარტოდ-მარტონი ვართ, როგორც კლდე ზღვის პირას.

ფეიზ. განა ზღვა კი არ დაიბნევა ხოლმე, როცა კლდეს ეტემა. პლი-ფაშა. არა... ზღვა, ნელ-ნელა ძირს უთხრის ხოლმე კლდეს და ბოლოს ისე გამოაგლის, რომ სრულებით ჩამოაჭრევს. ჩვენა ვართ, ჩვენა ის ძირ-გამოთხრილი კლდე!

ფეიზ. ეჭ, ალი-ფაშა! შენ სულ ეგ გელანდება ხოლმე და ამიტომაც ვეკლავიერი ირევა შენს თავში. რაიები რაღაც

კეშაშათ მიგახნია. ვინც რაიებს არ იცნობს და შენ და-
გიგდებს უურს, ეგონება, რომ რაიები მართლაც ისე
ადვილად გადაგვყლანენ ჩვენ, როგორც ცხენი ერთ მუ-
ჭა თივასა. ეჭვ, თავი დანებე, თუ ღმერთი გწამს, მა-
გისტანა ღაშაწასა. ჟერ სომ არ წაკნხუბუბუღვართ რა-
იებს. მამასადაძე მიზეზი არა აქვთ, ჩვენზედ ხელი გა-
მოიღონ; ჩვენ მარტო ის გვინდა, რომ სულთანმა ანგა-
რიშები გაგვისწოროს, სხვა არაფერი.

პლი-თაშა. რასაკვირველია, რომ სიზმარი ატყუებს კაცსა, მაგ-
რამ ხან-და-ხან სიზმარიც კი ახდება ხოლმე. ესლანდელი
ჩემი სიზმრები რაიანზედ ისე უსაფუძვლონი არ არიან, ბე-
გო, როგორც შენა გგონია. მე თუ ვშიშობ, იმიტომა
ვშიშობ, რომ ამ შიშის მიზეზს კარგადა ვხედავ, და
შენ კი ვერა ვხედავ.

ჟეიზ. თუ ვხედავ, ბარემ გვითხარი კიდეცა.

პლი-თაშა. ამასე მეტს აღაწას გეტყვით. რაც იქნება, თქვენ
ყველანი თვითონა ნახამთ ამ მოკლე ხანში. ესლას კი, მე
თქვენ ყველას გირჩევთ, მიზეზს ნურას მიჭსტვით აჯან-
ყებისას, იმიტომ რომ, ამისთანა დროს აჯანყება, ისეთი
მოწყობა, რომელიც სულ მთლად თან ჩაკვიტანს და და-
გვანხობს.

რუსთან. მამ ახლას ჩვენ დამშვიდებით უნდა ვუტკიროთ, სულ-
თანი თან-და-თან როგორა გვხდის ტანისამოსს, მანამ-
დის სულ ტიტვლებს არ დაგვტოვებს, როგორც ძუძუ
მწოვარ ბავშვებსა? აბა, ვინ არ არის მიხვედრილი რომ
იმისი განმრავლავა ეგ არის? აბა, ახლას შენა გვითხამ, ალი-
ფაშა, სხვა რა დაგვჩვენია რომ თოფ-იარაღი არ ავი-
ღოთ და ჩვენი თავი არ დავიფაროთ? თუ აჯანყება და

ჩხუბი საშიშია ჩვენის სიტუაციისათვის, განა ამისთანა მშვიდობიანობა გი საშიში არ არის ჩვენის ქონებისა და უფლებისათვის. კარგი არც ერთია და არც მეორე, ერთი მეორეზე უარესია. როცა კაცს ქონებას და უფლებას ართმევენ, განა სიტუაციეზე ჭივიჭრობს-ღა ვინმე.

რამდენიმე ხმა. მართალია, ბეგო, მართალია!

პლი-ფაშა. შენა მკითხამ, რა უნდა ვქნათო, თუ იარაღი ხელში არ ავიღეთო? ერთი რაღაც დაჩჩა სათქმელად, და აი, ესლავე გეტყვი! შენ ამბობ, სულთანო ჩვენის ფრთების მოკვეცას რადა სცდილობსო? რა თქმა უნდა, მობეზრებულა ჩვენის უნობისაგან. ჩვენ ყველა ფიქრების წინააღმდეგ რაიებს ისევე ძველებურს წესზედ ვაძტევით და რაიები გი მოუთმენელად შეფთვევენ, მეტსა თხროლობენ, და ღმერთსა ვიფიცავ, რომ თხროვით გაიტანენ ვადეც, ან არა და ძალით წაგვართმევენ. ტიკი რომ სულ მედამ ჭბერო, ძმობილო, ერთხელ მაინც გაგისქდება, თუ ვინდ ემძავის ტყავისა იყოს. ბოსნიაც სწორედ ისე ჩამოეცლება სულთანსა. როგორც სერბია...

ჩამილ. სულთანს თუ ჩამოეცლება, ჩვენ სამ დაგვრჩება.

მსმან. რასაკვირველია, რომ ავრე იქნება.

პლი-ფაშა. ბატონებო, სიტყვას ნუ გამაშვებინებთ. ამაში არის ყოველის ჩვენის უბედურების მიზეზი, და აქვე შეგვიძლიან მოვსპოთ ეს მიზეზი. სჯობიან რომ, ჩვენთავადვე შევუმსუბუქოთ საქმე რაიებს, მცირედი რამე დავეუთმოთ და გული მოვიგოთ. იმათ ეკლესიებს და ქალებს ნუღარ შევესებოთ; სადაც რაია მართალია, სამართალი მივსცეთ; ვინაც არა აქვს-რა, ის მცირედითაც ვა-

ყოფილი იქნება, და რაინც, რასაკვირველია, გულის შეიჭრებს. მაშინ, სულთანსაც აჯანყების შიში აღარ ექნება და ჩვენც სელს აღარ გვახლავს. აი, ბატონებო, ჩვენი საშველი მარტო ეს არის; იარაღით სელში გი ჩვენ აჩაძრ თუ ვერასოდეს ვერ გაგიტანთ, აჩაძრდ მომეტებულს უბედურებაში ჩავცვიოთ.

ფიზ. ნეტავი აგრე იყოს და მაგით გვეშველოს რაძე და ეგ ბეკრი არაფერია. მაგრამ ვაი თუ მაგით ვერ გავსდეთ-რა!

რუსთან. ახლა ნიზამსედ რაღას იტყვი, და იმ სასაცილო ტანისამოსზედ, რომელიც უნდა ჩავკაცო? ჩემს მძესა ვიციც, მე უფრო ძაღვ ვკარს დავიკიდებ გულსკდა, ვიდრე იმ ტანისამოსის ჩაცმასზედ ვაბულს გავსდები.

ალი-ფაშა. ნიზამი ხომ ბეგებისაგან არ შესდგება? ჩვენ შუა ბეგრია ზარმაცნი, ღარიბ-ღატაკი და ტიტველა, რომელიც მხოლოდ იმითი ცხოვრობენ, რასაც სელში მიახეჩებენ. აი, ისინი აღენს ცხვირში ძმარს ქრისტიანებსა, და სათვალავში ჩვენ ჩავგოვლიან ხოლმე. აა, ისინი გავკზაწრთ სტამბოლში. ნიზამის შესავსებლად. მგონია, რომ ეს უკეთესი ღონისძიებია, რომ ბოსნიის გაიწმინდოს და ამისთანა უარ-ყურა ხალხი მოვაშროთ. მხოლოდ ამისათვის და სხვა არაფრისათვის, — მადლობას ვეტყვოდი სულთანსა.

ჩამილ. დიას, ძალიან გვეინურადა ბრძანებ; სრულებით შენი თანხმა ვარ. თქვენ, ბატონებო, რას იტყვიან? (ბეგები წამოდგებიან და ჯგუფ-ჯგუფად გროვდებიან და ჩურჩულობენ. ოსმან-ბეგი ალი - ფაშას მიუახლოვდება და დაბალი სმით ეცუვის.)

მსმან-ბეგ. მე სრული თანხსმა ვარ შენი, ალი-ფაშა, და ჩემ-
თან ერთად მთელი გრანია შენი თანხსმა იქნება; და ამის
სამაგიეროდ მე შენ ისევ იმასა გთხოვ ჭილდოდ, რაც
გუშინა გთხოვე.

ალი-ფაშა. დღეს მოკვლამანაკები ჩემს ქალს. მეც დიდის გუ-
ლით მინდა, რომ შენ ჩემი სიმე იყო.

მსმან. მე ვისთხოვს ისე არ დავანებებ თავსა, მანამდის შენს
პასუხს არ ვაპირებ.

ღურათ. ალი-ფაშა! ჩვენ სხვა ბეგების კარდაწვევტილებას მო-
კუცდით; ვინათ, ისინი რას იტყვიან? რაზედაც სხვანი
დადგებიან, ჩვენც იმაზედ დადგებით, იმიტომ რომ
ჩვენ სხვაზედ არც უფრო ჭკვიანები ვართ და არც უფრო
სულელები. (ყველანი დაიშლებიან, გადიან შუა კარებში. ალი-
ფაშა ყველას თვალს გადაეწეხს, მერე იჯვის)

ალი-ფაშა. ახ, მოდი და ვირი სადავით ატარე, მანაც იქით
წავა, საითაც დაჩვეულია. (გადის მარჯვენა კარებში).

2-რე სანახაში.

ნოვკო. (მარცხ. შემოდის მარცხენა კარებიდან, ბიჭი შემოჰყვება,
მერე ისევ გავა). აჰ, ესეც მოკვდი. უკან აღარ წავალ.
თუნდ რომ მიხდოდეს კიდევ ვეღარ წავალ; ფაშას ვეკ-
ლაფერი უნდა ვუთხრა, მეტი გზა არ არის. ეს სახუმა-
რი საქმე არ არის. მომეცანა რაიმე დღე კიდევ; რა
გამოვა ვინ იცის? იქნება მინამდე ეშმაკმა თავისი ქნას
და ჩემმა შვილმა ფაშას ქალი მოჭსტაცოს და გააქციოს
სამხლვარ-გარედ, მე კი აქ თათრებში, როგორც მკლებ-

ში, მარტო დამაგდოს. ანა, ყივან, ღმერთსა ვევიცავ, მაგას ან გაქნევიანებ. აბა ტყუილად ან დავნიშნე ურმას ქალზედ. ქალი თეთრ-წითურია, ლამაზი, ტკბილი, ჩემი შვილი ვი, — ეშმაკმა იცის იმისი თავი — ზედაც ან უუურებს. ამ ოსმალოს ქალმა გონება გამოაცალა. ამას მე უურსაც ან ვათხოვებდი, მაგრამ გუშინდელს აქეთ, ოღორც ვატყობ, რაღაცა ცუდი საქმე მზადდება. მე თვალი მოკვარ, რომ ჩემმა შვილმა რაღაცა მიჭმალა; შევატყე, რომ ფარულად რაღაცას აზრებს. ვიფიქრე, ვაი თუ მინამ ჯვარს დაიწერდეს, ქალი მოიტაცოს კიდევ და გაიპაროს. აბა ვინ გამიქრობს ამ ეჭვსა. ეჭვი ქვასავით ჩამჯდომია. ყველაფერს გაგუშვებებ ფაშას, საქმეს შევატყობინებ სასულს ვი დავუმაღავ. დეე, სიფთხილე იქონიოს, ქალს კარგად გაუფთხილდეს და რაც შეიძლება მალე გაათხოვოს. ჩემი შვილი ცოლს შეირთავს, რადგანაც ის ქალი გათხოვილი იქნება. ყველანი თავ-თავიანთ გზაზედ წავლენ და მეც სიფთხს გადავჩები.

3-მე სანახაში.

ალი-ფაშა და ნოკო.

ნოკო. დღე-გრძელა, პატივ-ცემულა ალი-ფაშა!

ალი-ფაშა. თქვენგან, ჭრისტიანებისაგან ღმერთმანი დიდს ჭირში ვართ; რა რიგად გათამაძით და ამაყობთ! მითხარი, ნოკო, რაიები მთებში რისთვის გავიდენ?

ნოკო. სხვა ოსმალებიც რომ შენისთანები იყვნენ, ჩემს

სულს გეფიცები, მთელს ბოსნიაში ერთი ჭაიდუკიც აღარ იქნებოდა. ესლა კი... მომიტყევე... მე შენთან თავისუფალს ღაშანკას ვარ ჩვეული.

პლი-ფაშა. სთქვი, რასაც ჭფიქრობ; ჩემის მიზეზით ნეკიც არ გეტყინება.

ნოვკო. ამოდენა ტანჯვას და წვალებას ველარ უძლებენ. მართალიც არის: სიტყვა აღარ თქმულა, რომ საწყენი არ იყოს. ყველას თავისი საკუთარი მიზეზი აქვს, რომ ვაჭარი იყაროს, თოფსა და ხანჯალს ხელსა ჭაიდებს და გაბორცობული მთებში მიდის.

პლი-ფაშა. მიდის და იქ, ვინც კი მოხვდებათ, ტყვეთ იჭერენ, ხოცვენ, გინდ ქრისტიანი იყოს, გინდ მუსლიმანი. აბა, ნოვკო, რამდენი ხანია ჩვენ ვწვალებით ამ ჭაიდუკების გამო; აი ესლა თქვენ უნდა ეწვალათ.

ნოვკო. არა, ფაშა! მართალი თუ გინდა, ჩვენ სხვაზედ უარესი მოგვდის. ერთის მხრით— რამალები გვტანჯვენ, მეორეს მხრით ჭაიდუკები. ჩვენ ორ-ტეტხლს-შუა ვართ. ერთს რომ თუნდ თავი დააღწიო, მეორეს ვერ წაუხვალ. ჩვენი იმედი მარტო შენა ხარ, ყველანი შენ შემოგტყარიან. თუ შენ არ შეგვეწვი, სხვა ვერავინ შეგვეწვია.

პლი-ფაშა. მეც მგასა ვცდილობ და იმედი მაქვს ყველაფერს უკად შეიცვალოს მადე. მე მითხრეს, შენ თურმე ჩემთან რაღაცა საქმე გაქვს. (დგება).

ნოვკო. დიას, მე შენთან ვიასელი. შენ ჩემთვის ბევრჯერ გიშველია და მადლობა ღმერთს, მეც შემთხვევას მომეცა მაგიერი გადაგინადო და იქნება სირცხვილს გადაგარჩინო.

პლი-ფაშა. რა? სირცხვილსა! მე! რას სულელობ!

ნოვკო. ჯერ უნჩი დამიგდე, იქნება არა ვსუფელობდე. ჯერ
გი ფიცი მომეცი, რომ ვის სახელსაც დაგიძლავ, ძალს
არ დამატან, მათქმევიანო.

ალი-ფაშა. ღვთის გულისათვის, ჭსთქვი. ფიცი რა საჭიროა:
სომ იცი, ვისაც ელაზარაკები.

ნოვკო. არა, თუ ფიცს არ მომცემ, ენა რომ მომგლიჯო, ენა,
ერთს სიტყვასაც ვერ მათქმევიანებ.

ალი-ფაშა. (მოჭმუნვნილი) გაიურა! კარგი, ესლას ნურას შიში
ნუ გაქვს. ჩემი სიტყვა ქვასედ მაგარია... სთქვი ძალე.

ნოვკო. შენ, ფაშავ, ხალ-გაზდა, ღამაზი, მამის-ერთა ქალი
გუაგს.

ალი-ფაშა. რა! ჩემს ქალზედა გაქვს სათქმელი?

ნოვკო. დიას, შენს ქალზედ.

ალი-ფაშა. ახა, რას მეტყვი ჩემს ქალზედ. ჩემი ქალი სირცხვი-
ლისათვის არ არის გაჩენილი, ჩემს თვალებს მიჩიკვნიან.
თუ ტყუილად ბრალს რასმეს დაჭსადებ, ის გერჩივნა რომ
შსამიან გველს ებინე.

ნოვკო. იმას არ ვიტყვი, რაც ზედ-მიწევნით არ ვიცი. და
თუ ვიტყუო, ფაშავ, აგერ შენი ხმალი და ეს ჩემი თავი.
მამ იტადე, შენს ქალს უყვარს ერთი ფაწვილი-კაცი და
ამ ფაწვილ-კაცსაც გაგიყვით უყვარს შენი ქალი.

ალი-ფაშა. (მალავს უმყოფილებას) ჯერ მაგაში ტუდი არა
არის-რა: ხალ - გაზდა გული სიყვარულით არის სავსე.
ნუ თუ ეს არ იცი? ფაწვილი - კაცი და ფაწვილი - ქალი
ვერ იტაცსლებენ უსიყვარულოდ, როგორც დღის სი-
ნათლე უმსეოდ.

ნოვკო. ახლას ისინი რომ ერთმანერთსა ჭკადამდენ სოღმე
სადმე... ღამე... დამაღვით? აქედამ კეთილი სომ არა გა-

მოვა-რს. ახალ-გაზდებს გუფი სუსტი აქვთ; თოფის წა-
მალსავით უფეთქთ ხოლმე და გონება კი ჯერედ არა
აქვსთ რიგიანად შექთავრებული, — ჯერ იქმონენ რასმეს და
მერე ნანობენ. ეს ხომ მე და შენც გამოგვიცდია, ფა-
შაჰ!

ალი-ფაშა. (გაფიქრებული) შენ თვითონ ხომ არ მოიგონე ეს
სამარცხვინო ტყუილი? მაშ კინ გითხრა? მითხარი! მე
ამ ტყუილს უკანვე დაკუბურუნებ იმას, მერე ისე რომ
ძვალავით ყელში გაქნხიროს.

ნოვკო. მე იმის სახელს ვერ გეტყვი; მე და შენ ავი პირ-
ბა დავსდეთ; და რომ ჩემი თქმული მართალია, ამისა-
თვის თავს დავდებ. ეს კიდევ დიდი ჭირი არ იქნებოდა,
რომ ბოლო მაინც მოსაკვარებელი იყოს როგორმე.

ალი-ფაშა. მაგითი მითამ რის თქმა გინდა?

ნოვკო. იმისი, რომ თუნდ ძლიანაც მოინდომო, ვერას გზით
ვერ მიათხოვებ შენს ქალს იმ უძაწვილ-გაცს.

ალი-ფაშა. ვერა? რატომ მერე? შენ მე გუფს მისეთქამ.

ნოვკო. მეშინიან, ვაი თუ რომ გითხრა, ძლიან შეჭსწუნდე.

ალი-ფაშა. უმაგიასოთაც გუფს ცუცხლი მომიკიდე. ესლავე
მითხარი ყველაფერი.

ნოვკო. ალი-ფაშა, იმათ შუა ჯვარია.

ალი-ფაშა. ჯვარია!! ჯვარი სთქვი? (სიჩქარით წამოხტება) ოჰ,
ღმერთო! ჯვარის ძვივრად იქ ჩემი ხმალი ჩადგება!

ნოვკო. დამშვიდდი, უხილოდაც შეგიძლიან გააშორო ისინი.
შენი ქალი გაათხოვე, მალე გაათხოვე; და მანამდის კი
ყურე კარგად უბდე, იმიტომ რომ ბოსნიასში წყურღლი
ალი იცის, რომელიც არაუის სახელს არ დაზოგავს.

ალი-ფაშა. (საშინლად აღელვებული) ჭოი გააურნო! დედა-მიწა

გასკდეს და თან ჩავიტანოთ! თქვენ მე ალით მაშინებთ? ჩემის სიკეთისათვის მადლს მაგითი მინდით, განა? აბა, ნოკო, მითხარი იმ ფაქვილი - ჩაქის სახელი, თუ არა და ქვეყნას გამოეხადე.

ნოკო. თუ ალი-ფაქს თავის ფიცს გასტყვს, მეც მზად ვარ.

ალი-ფაქსა. აი წყუელიმც იყოს ის ჩემი ფიცი, რომ მე ესლას გულის სული დამაქრეფინა. წადი, თავი დამანებე. მე სამ ვეკლას შევიტყე, რაც კი შენგან შესატყობი იყო. (ნოკო კარებთან მიდის) ეს კი იცოდე, თუ რადა სთქვი, მარ-თალი არ გამოდგა, წმინდა ჭეშმარიტება არ არის, და თუ რომ ეგ ამბავი მარტო სიზმარში მოგელანდა, იცოდე შეთქი, რომ მე ჩაქი არ ვიქნები, თუ შენ როდისმე სიზმარს-და ნახავ.

ნოკო. ფაქსა: ვეკლას კარგად გამოიკითხე და მე ხელიდამ არ წაგიკაღ. (გაღის).

4-სე სანახაჲნი.

ალი-ფაქსა. (მარტო) დიას, შეირიმა კარგა სანაა რაც დადონებულა დადის. იმის თვალებს, იმის ღიმილს—მწუნარების ფერი ადევს. ლაშაჩაქის წარობს, ბაღში აღარ დასკიინობს; აღარც ვეკვილებსედ მიუწევს გული, აღარც ჩაქმა - დახურვასედ. ფუ ეშმაკსა! ვეკლასური თითქმის და მართლად ისე იყოს, როგორც ნოკო ამბობს. (გაღის).

5-თე სანახაში.

(ოთახი ხალგებით დაფენილი, სავსე რბილის ბალიშებით და მუთაქებით. ერთს მხარეს კედელთან დგას წაღო, სადაც ოსმალები ქვესაგებს ინახვენ.)

მეირიმა და შერიქა (მეირიმა დივანზე ზის, მკლავზე დაურდობილი. შერიქა ხალიჩაზე მოკეცილია შორი-ახლო და კარებისაკენ იუყრება.)

მეირიმა. დანიშნულან! მამ წავიდა იმედი, ჩემი უკანასკნელი ნუგეში. ესლას ჯღარა მუაკს უივანი, თითქო თავის დღეშია ცრე მეოღია. ოხ, შერიქა, შენ რას ჭფიქრობ? მითხარი, ხომ უსვინიდიხოდ მომატყუა.

შერიქა. შენ წინაღვე უნდა გცოდნოდა, რომ უბედურება გეწოდა, რადგანაც იმან ისლამის მიღება არ მოინდომა.

მეირიმა. ჩვენ ხომ ერთმანეთს აღთქმა მივეცით, მტკიცე აღთქმა, რომ მე თავის დღეში არ გავთხროვებოდი და ის თავის დღეში ცოლს არ შეირთავდა, რადგანაც ჩვენ ჩვენი კანონი გვიძლიდა. და იმან კი, იმან, მუხსნათმა, მიღალატა!

შერიქა. შენ იმას კარგად იცნობ: რასაც მამა ეტყვის, არ შეუძლიან, არ დაემორჩილეს. ვინც გინდა იყო, უკვლას ყოჩაღად წინ გადუდგება, მაგრამ მამასთან ისეა, როგორც უსუსური ბავშვი. იმის მამას ძალიან ეშინოდა თქვენი და ძალ-დატანებით ლუბიტასკედ დანიშნა.

მეირიმა. ოხ, შენ ყოველთვის ამართლებდი და ესლაც ამართლებ. რომ ჩემი მწუსარება ცოცხათი მანც როგორმე გამიქარგო. კანხათ, რა იქნება. აი თუმცა კთხროვე, შე-

კვხვეწე, ბაღში არ მოვიდა, რომ ერთხელ კიდეც მანინც დამენახა, ერთხელ კიდეც გამეგონა იმისი სიტყვა და მე-რე, მე რე საუკუნოდ გამოვსადმებოდიოთ ერთმანერთსა. მოსკლას არ უნდოდა, რაღაც მიზეზებს ამბობდა, და მე კი, მე კი, ოჰ, სარცა უნდა დამბახაროს, წავიდოდი. ჯო-ჯოხეთშიაც რომ ეთქვა, იქაც კი, თუნდა წინადავე მცოდ-ნოდა, რომ იქიდან კვლავ დავბრუნდებოდი თავის დღე-ში.

შერიფა. იმას, როგორც მამა-კაცს, უფრო კარგად უფიქრია. რომ კიდეც მოსულყო ბაღში, ახლა კიდეც მოინდომებ-დით, მე რე კიდეც, და ამას—რა თქმა უნდა—ბოლო-ვლად ექნებოდა. რაღა საჭირო იყო ეგებები? ტყუილ-უბ-რალოდ გულის უფრო დანიწულულებით და იმის შიშინც რომ ახლა შეგვიტყობენ და დავიდუშებიოთ, უფრო მო-კვამატებოდათ.

მეირიმა. ოჰ, ეგ არ არის, არა! შენა სთქვი: «იმისი გული დაგიკარგავსთქო; იმისი გული შენ ღიუბინამ წაგართვა-თქო...» ასე სთქვი, ეს უფრო მართალია იქნება. ღიუ-ბინა ახალ-გაზდაც არის და ღამაწინა; დიდიდამ საღა-მომდე სულ იმასთან არის; ეალერსება, თავს ევლებს. ოჰ, ნეტა მესი დაცემოდეს და თან გადიტანოს. (პირს ბალიშებში დაჰმაღლავს ტირილით) ოჰ, შენიჭა, მე ვერ გა-ვუძლებ ამ საშინელს ტანჯვას გულისას!

შერიფა. ეგ ისეთი ტანჯვას არ არის, როგორც შენა გგონია. ის რომ ნახო და იმისი გულის ჰასუსი გაიგო, ისიც შესავით იტანჯება...

ნ-სე სანახავი.

პლი-ფაშა, მეირიმა და შერიფა (შერიფა წამოდგება. მე-
ირიმა ჯერ ვერა ჰხედამს მამასა და შერიფას ეუბნება.)

მეირიმა. ნუ მიდისხარ, შერიფა!

პლი-ფაშა. (მიუხანლოდგება) რა დაგეძმართა? ავად ხომ არა ხარ?

მეირიმა. დიას, თავი საშინლად მტკიავა.

პლი-ფაშა. შუბლი, ხელები, მთელი ტანი ცხელი გაქვს. შე-
რიფა, ექიმისათვის გაგზავნე.

მეირიმა. (სიჩქარით) არა, საჭირო არ არის, გაივლის. მად-
ლობელი ვარ, მამა.

პლი-ფაშა. კარგი, მაგრამ, სნეულებს თავი არ უნდა მიანე-
ბოს კაცმა.

მეირიმა. არა, ექიმი სწორედ საჭირო არ არის. ხვალ მე
ისე კარგად ვიქნები, როგორც ფრინველი; ჩემი ფეხები
ნუ გაქვს, მამა!

პლი-ფაშა. კარგი, ხვალა ვნახოთ. წამოგეჭი, დამშვიდდი, ვი-
თამც მე აქ არც კი ვარ. (მეირიმა წამოდგება; პლი-ფაშა
ოთახში გაივლის, გამოივლის; თავის-თავად) ღმერთმანი ეს-
ლა დრო არ არის, რომ გამოვკითხო. არა, ესლა არა-
ფერს არ ვეტყვი.

მეირიმა. მამა, რადა ხარ დაღონებული?

პლი-ფაშა. მართალია, ძალიან დაღონებული ვარ.

მეირიმა. შეიძლება, მაგის მიზეზი შემატყობინო?

პლი-ფაშა. ძალიან ცნობის-მოყვარე ჰყოფილხარ! მე სწორედ
უნდა ვითხრა, იმიტომ შემოვკვი შენთან, რომ ჩემი

ნაღველი მეთქვა; მაგრამ ვინ იცის?... იქნება... ეჭვს, ჭსკვლავს, სვალადის დარჩეს.

მეირიმა. ღვთის გულისათვის, იქნება ჩემს თავის ტვივილს კრიდეები? (აღება) დამიჯერე, ცოტად გადამიარა კიდევ და ლაპარაკში სულ გადამივლის, მითხარი.

ალი-თაშა. კარგი, მაგრამ...

მეირიმა. შენი ჭირიმი, მამაკ!

ალი-თაშა. სასიამოვნოს ვერას გეტყვი და მეშინიან, ვაი თუ ჩემს ლაპარაკში გაწეინოს.

მეირიმა. უთქმელობა უარესი იქნება ჩემთვის. სთქვი, მამაკ.

ალი-თაშა. შერიფა, წადი აქედამ. (შერიფა გავა) უური დამიგდე, მეირიმა, აი ჩემის ნაღვლის მიზეზი. მე თავი მომაბეზრეს იმ უმაწვილ-კაცებმა, რომელნიც ირეკიან ჩემ სასახლეში და შენს თავს მთხოვენ. აქამდის ყველას უარს ვეუბნებოდი, რომ შენთვის მასმებინა. მაგრამ, ესა და კი ამდენს უარის თქმას ბოლო უნდა მოეღოს, რადგან ესა დროც არის, გათხოვდე. ამ დღეებში შენი თავი სამმა უმაწვილმა-კაცმა მთხოვა. ერთი არის თაშის შვილი ბიგაჩიდაში, ოსმანი; მეორე ჩიზმიჩი, მდიდარი ბეგი ლივანისა და მესამე თვით ზვორნიცის თაშა. თუ ამათგ უარი შეუთვალე, ღმერთს გუფიცები, ჯარ კიცი; უკეთესს ვის ამოარჩევ; თუ არ თვით ძალად სულთანს სტამბოლისას.

მეირიმა. რა, მამა-ჩემო, შენს იმ უმაწვილ-კაცებმა მოგაბეზრეს თავი, რომელნიც შენ სასახლეში ირეკიან, თუ თვითონ მეირიმაში?

ალი-თაშა. უმადურე! განა ეგეთი ზსუსი უნდა მიჭსტე მამა-

შენს? ვინც სხვის გულ-კეთილობას არად ავადებს; ის დარსია რომ ყანგმა შესჭამოს.

მერიმა. ყანგი შემჭამს კიდეც; ნუ იფიქრებ, რომ მინდოდა შენი გულის ტკენა. მე ვერ აქამდის არ ვიცი რომიერად სიტუკა-მასუხის მიცემა. მომიტევე, მამავ!

ალლი-ფაშა. ჭო, კარგი! შენ მხოლოდ ის მითხარი, რომელ ერთისაგან მივიღო ნიშანი და სიტუკა რომელს მივსტე?

მერიმა. არც ერთს.

ალლი-ფაშა. მაგას მართლად ამბობ? არც ერთს? შეირიმა, ეს რას ნიშნავს?

მერიმა. მე, მამა ჩემო, არ მინდა რომ შენ როდისმე მოგ-შორდე. თუ ჩემი აქ ყოფნა არ გიძიძის, ამ შენის სასახლის შატარა გუთხეში დამტოვე! მარტო ამას გეხვეწები და გთხოვ.

ალლი-ფაშა. კარგი, მაგრამ შენ ჭნებამ, რომ მე თან-და-თან სიბერე ძერქვას, დღესა თუ ხვალე მიწა მიმიბარებს. მე დედა-მიწა დიდ ხანს აღარ მამყოფებს თავისუფლად. მაშინ შენ რა გეშველება? არა, მე არ მინდა, რომ ჩემს შემდეგ აქ უმეტრონოდ დარჩე, მარტოვად, ფერთებ-ჩამოყრილი, როგორც დაქტეულ კედელში უბედური გუგული.

მერიმა. (დაფიქრდება) არა, მაგახედ შენ სულაც ნუ შესწუხდება; მე შენზედ მეტს არ ვიტოვებ, თუმცა შენ სიტოვების ბოლოში ხარ და მე სათაკეში.

ალლი-ფაშა. რას სუფულობ, ნეტავი მითხრა!

მერიმა. როცა გაცხ გულში მწუხარება ჩაუდგება, გულს აფუჭებს და ღრღინის უფრო მალე, კიდრე წელთა სიმრავლე.

ქარი ახლად გამოსულ ყვავილს უფრო ადვილად მოსტეხს ხალძე, ვიდრე ძველს შტოსა.

ალი-ფაშა. (მოჭმუხნილი) მეტე, შენ რა მწუსარება გაქვს მაგისთანა? მე უნდა, მე მინდა ყველაფერი შევიტყო.

მეირიმა. რაც მწუსებებს — ის ჩემი საიდუმლოა; მარტო ერთმა ღმერთმა იცის, სხვა ვერავინ შეიტყობს.

ალი-ფაშა. (აღშფოთებული) შემტყდარი ხარ; მეც ვიცი; მაშ მართალი ყოფილა, — გრცხვენოდეს!

მეირიმა. (უიშით) რა იცი, მამა?

ალი-ფაშა. შენ გააურო გიყვარს; ეგ როგორ მოგივიდა ფიქვად, რომ გააურო შეიყვარე?

მეირიმა. შენ ვინ... გითხრა ეგა?

ალი-ფაშა. ოჲ, ღმერთმა ნუ ქნას, რომ იმისი საყვარული დიდხანს შეგრჩეს.

მეირიმა. (მამის წინ მუხლებზედ დაეცემა) მე ის მიყვარს, ტყუილს ვერ გეტყვი... ნუ ჯავრობ მამა, შემიბრალე და ნუ დამწყევლი; თორემ ნახამ, შენი წყევლა მალე ამისდება. ეს საყვარული მე სიკვდილად გადამეტყვევა. (მამა მოშორდება ქალსა; ქალი პირის სახეზედ ხელებს მიიფარებს).

ალი-ფაშა. მაშ სიკვდილად გადამეტყველს... და იცი როგორს სიკვდილად? ესლავ გეტყვი. ოსმალის ქალი, რომელიც გააუროს შეიყვარებს, ვისიც შეილი უნდა იყოს, თუ გინდ თვით სულთანისა, ტომარაში ჩასმენ და იმასთან იმავე ტომარაში ჩასმენ კატასა და შხამიან გველსა, რომ კატამ თავის ბრჭყალებით გულ-მკერდი დაუხრეკოს, გველი კიდევ ველზედ შემოესვიოს და მეტე სამივეს ერთად წყალში გადაისვრიან, რომ მზის ნათელმა თავის დღეში ისინი აღარ ინახულდეს. აი ასე ეტყვიან ოსმალები გა-

ურის საუკვარულსა. თვითონ გიაურს კი თავს მოჭსტრიან და სადმე გზის შირას დააგდებენ, რომ ნადირმა და მიფრინველმა ჭფლითონს ზ ჭგლიჯოს. მითხარი, ვინ არის შენი საუკვარელი?

მეირიმა. (თავს მაღლა ასწევს) ნუ თუ არ იცნობ? ყველაფერი გცოდნია, და ვითომ იმისი სახელი კი არ იცო?! განა ეგ დასაჯერებელია?

ალი-ფაშა. იმის სახელს ესლავე გათქმევინებ. აქავ. ამ წუთსავე!

მეირიმა. (ადგება, გამხიარულებული) ოჰ. რა რიგად მომეშო გულზედ!

ალი-ფაშა. (თან-და-თან ფიცხდება) იმისი სახელი... იმისი სახელი მეთქი!

მეირიმა. ვითომ მე უნდა მათქმევინო იმისი სახელი? ვითომ მე გამოგიცხადო ვინ არის?... დეე, წინადაც თავზედ წამომექცეს.

ალი-ფაშა. (ძალიან გულზედ მოსული.) გათქმევინებ მეთქი, ძალით ამოგვლეჯამ შირიღამ იმის სახელს!

მეირიმა. ჯერ იმისთანა ძალა არ გაჩენილა ქვეყანაზედ, რომ იმისი სახელი მათქმევინოს.

ალი-ფაშა. (გაანჩხლებული.) რას მიჭქარავ? შენ თითქო ვიბრში ავირბობ ჩამიდგე. ანა ჭსოქვი, ან არა ზ ესლავე სულს გაგაფთხობინებ.

მეირიმა. მე შენის ხანჯლისა არ მეშინიან. შენ შეგიძლიან ლუქმა-ლუქმად მატციო, მაგრამ მაგას კი თავის დღეში ვერ მათქმევინებ.

ალი-ფაშა. ალლას, ალლას, ალლას! თვალთ მიხედედება (ხელს სცაცებს) მე ბორცოტო, ესლავე ჭსოქვი მეთქი!

მეირიმა. თავის დღეში... თავის დღეში არ გეტყვი! აჭა მომ-
კალი!

ალი-ფაშა. (დანის დაცემას უპირებს) სთქვი მეთქი... სთქვი!

მეირიმა. ვერ გეტყვი მამაკ, მამაკ!... (გულს შემოეყრება და და-
ცემბა; ალი-ფაშა განცვიფრებული დგას და ხანჯლით მოღერე-
ბულს ხელს დაბლა დაიღებს.)

ალი-ფაშა. ეს რა ამბავია?... გულს შემოეყარა. ამას რას
გშვრები!... ოჭ, უბედურო მშობელო, ეს ხომ შენი ერ-
თად-ერთი შვილია, ერთად-ერთი! (ხანჯალს ხელიდამ გა-
ავდებს; მეირიმას აიყვანს ხელში და დივანზე დაასვენებს; უბლ-
ზედ ხელს დაადებს და მერე გულზედ.) გულ-შემოეყრილას!..
აღარა ესმის-რა! ეს შერიფა რაღა იქნა?... (კარებისაკენ
გაიქცევა; მერე გაჩერდება) არა, არ მინდა რომ შერიფამ
ამ ყოფითა ნახოს ჩემი შვილი. დეკ, თვითონვე მოვი-
დეს გონზედ. განა თვითონ თავისგნით საკმაოდ უბე-
დური არ არის, რომ მეც არ მოვსულავიკ და ტი-
რი ჭირს არ მომემატნა? ოჭ, ერთი შესჯეთ!... ყველას
იტყვი რომ მკვდარია! შვილო, მეირიმა, ვერ მკვდარი
არა ხარ და ვერ ამიტანია, მართლა რომ მომკვდომოდი,
რაღა მეშველებოდა. სამს დღესაც კვლავ გაკძლებდი ცოც-
ხალი. ვაიმე, ვაიმე, ეგ უბედურება იქნება კიდევაც მო-
მელოდეს. ესლაც ცხადდა ვხედავ, რომ მკვდილად გულს
უფრო მალე ამოვკვლევდი, კიდრე იმ წყეულს სიყვარულ-
სა. ვაი, უბედურო შვილო, ვხედავ, შენ დედი - შენის
სისხლი გიდულს. დედა-შენიც აგრე ინახავდა სიყვარულ-
სა და იტვიანობამ მალე გამოსახლმა წუთი - სოთელს.
(მეირიმას გვერდით დაედება და ღრმად ჩაფიქრდება. რამდენიმე
ხნის შემდეგ მეირიმა გონზედ მოვა.)

მეირიმა. ოხ!

აღლი-ფაშა. მეირიმა!

მეირიმა. ჯერჯერ აქა ხარ? დმერთო! ნუ მტანჯავ; ან სიტყვ-
სლე წამართვი, ან თავი დამანებე.

აღლი-ფაშა. სიტყვსლე წაგართვა? მე? ოჰ! შენ არ იცო, რა-
გორ მიღიხს მე შენი სიტყვსლე.

მეირიმა. აქამდის შენ გუელ - კეთილი იყავი და ესლა გი სხვა
ხარ.

აღლი-ფაშა. გახუმიდი, მე უოკელთვის ასეთი ვიყავი; ხომ კარ-
გად იცო მე გუელ - ფიცხა ვარ; შენ გი მეტის - მეტად
შეუშინდი ჩემს სიანხსლეკსა. ნულარ მომგონებ, რაც ეს-
ლა მოხდა. მგონია, სუსტად ხარ... ახა ერთი შე-
მომხედე. ოჰ, შვილო, მე და შენ მარტო ვართ ორნი
ამ წუთის-სოთუელში; უკრთმანერთოდ ახა რა ვიქნებით?
(მეირიმა თავს მამას მხარზედ დაუდებს.)

მეირიმა. შენ გი მაინც გინდა თავიდან მომიშორო?

აღლი ფაშა. (რამდენსამე ხანს ჩუმად არის, მერე ეცხვის) გამი-
გონე. მანამდის შენ გუელ - ამომოყრთილი იყავი, ბევრმა
ფიქრმა გამიარა თავში. ერთი იმათგანი შევინარჩუნე: კარ-
გია, თუ ცუდი, დმერთმა განახილას. ერთს რასმეს გი-
დეკ გკითხამ: არ შეგიძლიან როგორმე დავივიწყო ის
უბედური ფაქვადი-გაცი?

მეირიმა. არა, არ შემიძლიან! მეცა მსურს დავივიწყო, მაგრამ
კვარს გზით ვერ შევსდეკ.

აღლი-ფაშა. აგრე ძალიან გიყვარს?

მეირიმა. (თავს აიღებს) მე... ისა? ოჰ, მამა! აგი გითხარი,
რომ ეს სიყვარული მე ბოლელს მომიღებს მეთკი.

აღლი-ფაშა. (ადგება) არა, მაგამდის მე არ მაგიშკებ, არა! ად-

ბად ღვთის ნება ეგა ყოფილას; ალბად ასე განუგია ღმერთსა. ესლას, ნურასფრისას ნულარ გეშინიან, გულ-აღსნილად მიიხარა, ვინ გიყვარს.

მეირიმა. ოჲ, მამა. მეშინიან, ძალიან მეშინიან.

აღი-ფაშა. ტყუილ-უბრალოდ ნუ გამაჯვარებ.

მეირიმა. შენ ერთს რასმეს შესმითხვევ, მამავ!

აღი-ფაშა. აგრე უსიწმინდოდ მე ჩემს ყურ-მოჭრილ ყმასაც არ მოვატყუებ, და ჩემს შვილს ხომ უფრო არა.

მეირიმა. თუ აგრეს, მამ კარგა; მე მჯერა შენი შატოლსანი სიტყვა. ღმერთი იმასაც დასჯის, ვისაც ფიცი არა ჰქონს, იმასაც ვინც ფიცს ვასტებს. და თუ ეს უბედურება მეწვია ესლას მე, მამა, იცოდე სვალვე საფლავი უნდა გამოიხაროს!

აღი-ფაშა. რა საჭიროა მაგდენი ლაშაჩავი!

მეირიმა. იმის სახელს დიდის თავ-მოწონებით გეტყვი, იმიტომ რომ. ვინ უბრძოლი იმისი სწორი არავინ არის. შენ კარგად იცნობ ნოკვოს ახალ-გაზდა შვილს.

აღი-ფაშა. ყივანს?

მეირიმა. დიას... ის არის.

აღი-ფაშა. ესლას მიუხედავად ნოკვოს, რაც საიდუმლო ჰქონია. (მიმავალი) ერთს საათს უკან ისევ აქ მოვბრუნდები.

• 7-დე სანახაში.

მეირიმა. (მარჯო) რას აზრებს მამა-ჩემი? გამოვას აქედამ რამე კეთილი? იმედითა მამას და შიშითაც ვართთი. მაგრამ, არა, მამა არ მომატყუებს. ყივანის სიკვდილს ფიქრითაც

არ გაიტარებს. ეგ რომა ჭკმნას... იმის თვალ-წინვე გუელში დანას დავიცემ!... არა, თავს მოვიწამლავ საშინელის საწამლავითა... არა, იმ მაღალ გომეიდანამ გადმოვარდები, რომ ლუქმა-ლუქმა ვიქტე და უფრო ძალიან გუელი დავწვა მამას, რომელმაც სიტყვა არ შეინახა.

8-ვე სანახაპი.

ალი-ფაშა და მეირიმა.

ალი-ფაშა. შეილო, შენ აქედამ წადი. ესლავე ყივანი აქ მოვა; მინდა მოველაზარაკო.

მეირიმა. ყივანი! მეც აქ ვიქნები, მინდა თქვენი ღაზარაკი გავიგონო.

ალი-ფაშა. არ შეიძლება.

მეირიმა. ის ვერ დამინახავს. მე აქ დავიმალეები. (მიდის წაღოსკენ.)

ალი-ფაშა. შენ გინდა, რომ ყველაფერი შენს ნებაზედ იყოს. კარგი, ავრე იყოს. მაგრამ, რასაც კი გაიტეხ აქა, ხმა არ ამოიღო, კრინტი; არ გაინძრე.

მეირიმა. (წაღოში ძვრება) ფიქრი ნუ გაქვს.

9-რე სანახაპი.

შეან და ალი-ფაშა.

— ბრუო! დაიძახე სეკრეტარმა:— პორტერი მოიტა.

— ახლავე, მიუგო ყავა-ხანის პატრონმა, რომელიც იმ უამად სხვებს ემსახურებოდა.

— შენ ამბობ, რომ გეგონისანი იმ კვირის დაბრუნდება, წარმოსთქვა ერთმა ემაწვილმა-კაციმა, რომელსაც ჯერ ხმა არ ამოუღო:— რადგან ინგლისში სამუშაო კერ უშოვია? იმისი ცალი კაპიტან კროფორდთან მიუმაობს და კიდევ გამოუცხადეს, თუ ფუფს არ გადახდით, მამულიდამ გამოგიყვანთო. მერე საიღამ უნდა გადაიხადონ, რომ არა ახა ახადიათ-რა!

— გადაიხადონ! წამოიძახა სეკრეტარმა. — გადაიხადონ კი არა!... მთელი მთის აგერმერები ყელამდის ვალებში არიან ჩაკარდნილნი. ტვინის-მწოველს უნდა თორმეტ სახლობას სუღი ამოართვას, რადგანაც იმისი ოთხმორცი სტერლინგი მართებთ.

— ეგ ყოველთვის ეგრა, როდესაც კაცი ვალს იღებს, იმ წამსვე თოკს ყელში წაუჭკერენ, წარმოსთქვა იმავე ამერიკელის კილოთი. მოლაშარაკე შირმა და მივიდა სტოლთან.

ას იყო ემაწვილი-კაცი ოც-და-რვა წლისა, სახელად კასიდი. ყოფილიყო ამერიკაში, სადაც ახალ-გაზდობის მოთავედ ითვლებოდა. რადიკალობას ჩემობდა და ლაშარაკეში ხმარობდა სხვა-და-სხვა ტერმინებს. მდაბალს საფხს შროლეტარიატს ეძახდა. კაპიტალი და შრომა, ურთი-ერთთან თანხმობა და მონოპოლია — იყო ხშირად მისი სალაშარაკო საგანი. თავის დღეში ეკლესიაში არ დადიოდა და მთელი სამღვდელოება საშინლად ეჭვარებოდა. ემაწვილ-კაცობა გუღ-მოღვივნებით უგდებდა ყურს იმის აღტაცებულს ლაშარაკეს, რომელსაც ისე მჭკვრ-მეტყველობით არა ჰქონდა გავლენა, როგორც სი-

მართლაც განცხადებით, ის თავის დღეში ანაყს ანა სვამდა. იმას ესწავლა ჩქარი წირა და უნდოდა ყურნადისტი გამხდარიყო; ჭკნავინდა სტატეის სხვა-და-სხვა გასუტებში. ამას გარდა კარგად ჭკითხულობდა ლექსებს და თავის დროსვე ჩაურთავდა ხოლმე ლაშარაჟში საუკეთესო შოეტების ნაწარებს. ამით მოხუცებულ მუშებს მოაგონებდა რანტორებს ხორჩის ირლანდიისას და ზოგიერთ წარსულ ამბავს. ამის გამო კასიადის თან-და-თან ემატებოდა გავლენა მუშებში. საღსი ცუდს დღეში იყო და ისიც ამ საგანსვედ ჯღაშარაკებოდა. ყველა ფერმკრები ჭ მუშები ყელამდის ვალში იყვნენ ჩაფლულნი, ფულს კერსად შოულობდენ, თუ ან დიდის სარგებლით. ყველასა ჭქონდა მიხეზი უმადყოფილებისა და ამისათვის დიდის ყურადღებით უგდებდენ ყურს იმის მკაცრ სიტყვებს.

სკრეტარი ამ ყრილობისა იყო დასლიდრად ერთ მეფუქსეთან, რომელიც დიდის სარგებლით ასესებდა ხოლმე გლესობას ფულსა ჭ, იმას ბლომად ჭქონდა თამასუქები. რასაკვირველია, მოვალეები ვალდებულნი იყვნენ იმისაგან ყვირნათ საქონელი. ამ ნაირ გაჭინვებულ მდგომარეობიდან როგორ გამოვიდოდენ გოლტიმორის მოურავის სიკვდილით, ან იტოდნენ, მაგრამ ამ გვარი ჩვეულება ჭქონდათ ჩანერგული ჭ ამ გვარივე შურის-ძიება იტოდნენ ნაციონალურ სიამაყის დასაკმაყოფილებლად. ლაუდერი თერთმეტის წლის განმავლობაში მამულის პატრონის მოურავი იყო ჭ თავისუფლად უმატებდა მიწის ქირას იმ ფერმკრებს, რომელნიც თავიანთ ქობს ან ერთს ოთასს მიუშენებდენ, რომ თავიანთი მოხდილი ქალები ძმებისა და მუშებისაგან გაწვალკეკებინათ; ან თუ ჭაობიან ადგილს ნყოფიერ მამულად აქცევდენ. თუ რომელიმე ფერმკრი დასტოვებდა თავის ნაქირაკებ მამულს, იმის სამაგიეროდ დასაყენებელ პირს მოურავი მალე

მოულოდნელად. თავის დღეში იქ მიწა შეუშუშავებული არ დაჩებოდა, რადგანაც მამული ძვირი იყო. რა უნდა ექნა ხალხს ამ მდგომარეობაში? კანონი არ იფარავდა იმათ ინტერესს. თუ გლეხ-კაცობა სასამართლოში იჩივლებდა, რასაკვირველია, ტყუილად დროს დატყვარავდა, რადგან მოსამართლეებდ თითონ მიწის პატრონებივე ისხდენ.

მაშ აჭამდას რატომ არ მოტყვეს ლაუდერი? იმიტომ რომ, როგორც ხალხური ანდახა ამბობს, საზოგადო საქმე არავის საქმე არ არის.

კასიდი ახსნიდა ამ მოკვლენას იმით, რომ ხალხში ანატივტორი, საქმის დამწყები არავინ იყო. როდესაც ჩარღვი კლიფორდმა ლაუდერის მოკვლა მოინდომა თავის დის გაუშვარტყურების გამო, ყველას მაშინ მოაგონდა მისი დანაშაულობა თითოეულ მათგანთან და ყველამ მოითხოვა სისხლის აღება. ყველამ კი ნამდვილად იცოდა, რომ ჩარღვი ლაუდერს ცოცხალს არ გაუშვებდა, მის მოკვლას არავის დანებებდა და წილის-ყრს სრულებით საშიში არ იყო.

— ლორდი გოლტიმორი არ იყო ურიგო მებატონე, წამოიძახა კონორმა:— იმასთან კაცნი მორიგდებოდა: ის თავის დღეში ფერმერებს არ უშლიდა მიწების დაყოფას, არავის არ სდევნიდა, იდგა თავის მამულში და ღარბებს სამუშაოს ამოვლდა.

მართალია, კონორს ამ საიდუმლო საზოგადოებაში პირველი ადგილი ეჭირა, მაგრამ რადიკალი კი არ იყო. ის იყო კაი მუშა-კაცი და თავის დროზედ ისდიდა მიწის ღალას. კითხვა და წერა კონორმა არ იცოდა. ლედი გოლტიმორი პატივის ჭსტემდა მას, რადგანაც ერთხელ, როდესაც გზასზედ შეხვდა და შემთხვევით ჭკითხა: «ცი თუ არა წერა-კითხვა»

შესუსხდ მიიღო: «არა, მილედი, მე არც წერა ვიცი, არც კითხვა და რომ მტოდნოდა, კიდევ, რა სარგებლობას ვნახავდი?»

— რა ბრწყინებელი ხარ! წამოიყვინა უცებ კასსიდიმ: — თქვენ კმადღაიერებით მებატონეს იმიტომ, რომ სამუშაოს გაძლეოთ, როდესაც ისინი უნდა კმადღაიერებოდნენ, რომ მუშაობთ. ჭკვა-მძიმე მონებო! თქვენის აზრით მებატონეს უნდა ჭქონდეს ნება ღირებესავით გაგვიღოთ და გიუიღოთ! ის დრო დიდი ხანია წავიდა. თქვენ გი კაცნი არა ხართ!... თქვენ აძლეოთ ნებას ვადაცა სამართლის გულებს თქვენითვე გამდიდრდნენ და თქვენვე შირუტყვისავით მოგაქცნენ. ვინა ურან, ერთი მითხარით? ვინ მისცა იმათ მაგის უფლება? ან თითონ გოლტიმორი ვინა ბძანდება? იმის წინა-შარი კრომკელის ოფიცერი იყო ჭ ღორ-დობა იმიტომ მიიღო, რომ დუბლიანში შარლამენტის გაუქმების დროს დაეხმარა. იმათი მიწები უწინ ოქლეტებს და ეკლესიას ეკუთვნოდა. ნამდვილნი მფლობელნი ირლანდიისა გოანა-ურტი განდევნეს. საეკლესიო მიწები ხალხს ეკუთვნის და ოფლეტების მამული გი უნდა იმათ ჩამომავლობას დაუბრუნდეს.

— დიანს, დიანს. დაემოწმა რაში.

— არლანდია ირლანდიელებისა არის, განაგრძო კასსიდიმ: დრო არის განთავისუფლდეთ ინგლისელების ხელთგან, რომელნიც მთელის ქვეყნიერების შემოსავლითა სარგებლობენ და თითონ გი არას აკეთებენ. ერთი ხანსეთ, რამდენი ნიუ-იორკში, კალიფორნიაში და სხვა ამერიკის ადგილებში მოგროვილი ფული, ინგლისელების ხელში გადადის ღალის სამაგიეროდ. გეფერხანის ქალები ნიუ-იორკიდან უგზავნიან მოხურებულ მამას ფულს ღალის გადასახდელად. უნდა დასვა ღაუ-დერი ფერმაში, დაწყებინო მიწის შემუშავება, დაღაც გადასახდელები და თითონაც თავის ოფლით აცხოვროს! რაში მე-

ჩინებია: მოურავები, მიწის მეპატრონეები, მინისტრები, თითონ დედოფალი! მე ვეკლას იმათ გუთანზედ დაკავრავდი და თავიანთ შრომით მოკავრებინებდი საზღვარს.

— ჭო, შრომით, პატრონის შრომით, დაუძატა სიტყვა ტენტონმა.

ის, როგორც ეტუობოდა. ვეკლავზედ ვულ-მოდგინედ და თანავრძნობით უბღებდა ვურს კასსიდას. მორე ჯაშუში, გაინსი, სრულებით მთვრალი: აჟო, რადგან არაფრედ დაეპატიუნათ თხი ყავა-ხანის სტუმარი, რომელიც წუდის თვლით უწყეროდენ მას. მაგრამ ჯაშუშებისა არავის ეძინოდა. დეე, წასულიყვნენ და მიეტანათ ენა მოსამართლისთვის, ან პოლიციის უფროსისათვის, რომ ესა და ეს ამ კაცის მოკვლას აზიერებსო. ვის უფრო დააკლდებოდა ამითი? პოლიცია მოკვლას ვერ დაუშლიდა და მოკვლის შემდეგ ვერც მომკვლელს გამონაჩენდა და ვერც დანაშაულს დაუმტკიცებდა. არა თუ მარტო ეს ჯაშუშები აბეზებდენ მთავრობასთან შემთქმელებს, თითონ ბრუიცი კისრულობდა სშირად დაბეზლებას, რომ ყავა-ხანის შენსვის უილება არ წართმეოდა, საიდუმლო საზოგადოების წევრთ ეს კარგად იცოდენ, მაგრამ არავინ არ აცხადებდა სამდურავს. რაც შეეხებოდა ჯუდეურის საეკდილს, ეს საზოგადოების საქმე არ იყო, მაგრამ მოთავეებმა — რომმა, ბრუიშმა, კონორმა და სეკრეტარმა ეს საქმეც საზოგადოებას მოახვიეს, რომ კლიფორდისთვის ხელი გაემართნათ და სიფათისაგან დაესხნათ.

— ქაღალდები მზად არის, — სთქვა სეკრეტარმა და ჩაყვარა ქუდში ერთი მუჭა დასორსოლაკებულ ქაღალდებისა, რომლებზედაც ნომრები ეწერა.

ვეკლამ თითო ქაღალდი ამოიღო. სხვაგან მიყოფით მს-

გეორჯდ, საზოგადოების მინდობილობით, რომი იღებდა და იმანვე ჩქარა გამოაცხადა რომ წითელი კვარი სამოც-და-მეორე ნომერს უზისა. ბედმა გეორჯისაზედ მიუთითა, კლი-ფორდმა პირის სასკოლად ხელეები აიფარა. ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა და მოჭყენენ მთქნარებს; ეტყობოდა შინ წას-კვლა ეჩქარებოდათ.

— ის აქ რაშაბათს, ან სამშაბათს იქნება, სთქვა რომმა და ზესე წამოდგა. — გრთის კვირის უკან ჩვენ კაჯეკ შვეიფებით და შესანიშნავს ახალს ამბავს გავიგებთ. მინამდის კი მშვიდობით, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

უკანასკნელ სიტყვებს განსაკუთრებითი მნიშვნელობა ქტონ-და იმათთვის, ვინც იცოდა საზოგადოების საიდუმლოება და რის ჯაშუშს მაშინვე შემოეხვია ექვსიოდე მარჯვე ფაწვილი-გაცი, რომელთაც შინამდის გააცილეს იგინი და მოუსწეს ღონის-ძიება — მაშინვე დაებზღებინათ პოლიციისათვის ყავა-ხანა-ში დაჩენილი მოთავენი საზოგადოებისა.

ყველანი რომ წავიდ-წამოვიდნენ და იქნის ხმა შესწუდა შორს, ბრუემს ჩაჭკეტა ყავა-ხანის კარები.

— აბა, ჩაწლი, უთხრა კონორმა: — საქმე კარგად მიდის, იმ შარასკევს აქ ყრბობა აღარ იქნება.

— კლიფორდ, დაუძახა სერკეტარმა: — აიღე პატრონები და ეს თოფის ბუდე. მე სხვებს გავევები უკან; ამით უფრო გზას დაუგზავნეთ.

სერკეტარი საჩქაროდ გავიდა გარედ.

— ჩაწლი, უთხრა ბრუემს: — მომავალს შარასკევს გარტ-სკრიპის ეკლესიაში კაცებს აღსარებას ათქმევინებენ. ჯაუდერი ყოველ-დღე სადილს უკან ბაღში გამოდის სიგარის მოსაწყვ-ვად. შენ ხომ იცი ის თხრილი, რომელიც ბაღიდან მოვიდუ-

ბული კართოფილის მინდვრამდე მიდის. იქ შუაში ერთი ხელმძღვანელი აღგია სწორედ ლაუდერის კარების შირ-და-შირ. ჩემი ბიძაშვილი იმასთან მოახსენებდა არის და ასე მითხრა, სწორედ შვიდის ნახევარზედ გამოდის ბაღში სიგანითაჲ. თუ უნებ გადაჭრება, წყალში გასვალ — ხომ იცო ფონი. სადაც ამ შემოდგომასეჲდ თევზს ვიჭვრდით — და საჩქაროდ აგვადობს შეუდგება. მასინ თუნდა ასს ვაჭრს დაგვაფიცებთ, რომ ღოცვის დროს ეკლესიაში იყავი. ნურათუნასა შეგუშინდება. იქ სულ ჩვენები იქნებან.

— ჭო, დაუმატა რომმა: — მეც კარგად ვიცი ის თხროლი. ბუნებებია იმის წინ და ფანჯრებიდამ არა ხნანს. საყდრადმის იქიდან შვიდის მილის მკტი არ არის. მაგრამ იცოდე ხარლი, სასმელი გემოთ არა ხანს. ფონთან ერთი მკგობარნი დაგხვდებან და გიშველის აერდობზედ ასვლას.

გლიფორდს მაგრად ეჭირა ხელში თოფი და ყურადღებით ისმენდა მკგობრების ლაპარაკს. ლაპებო გამჭრადიყვნენ და მხოლოდ ხანთლის აღი ბუფტაჲდა კუთხეში; ოთახში მძიმე სუნი იდგა. რომი კარგად შექვიფიანბული იყო და კიდევ ისხვდა ბოთლიდამ არაყს.

— იცო, თოფით არსად გამოხნდე, უთხრა იმან გლიფორდს და თვალი უყო.

— მამ სად წავილა? იკითხა მოუთმენელად გლიფორდმა.

— მკ მომეცი აქა, თოფიც, ბუდეც, მაუგო ბრუფმა: — მატრინები კი შენ წაილე მე მაგას მშრადს აღგას შევინახავ, თხროლიში, იქ იპოვინი.

— თუ მოგიტყუილებივარ, ვაი შენს დღეს, — წამოდასა გლიფორდმა და დაუნდობლად გაუშვა ხელიდამ თოფი.

— ნუ გეშინიან, უთხრა ბრუფმა, გამოართვა თოფი და

შესდო ჭერებ შუა გამოტენილს თივასში:— აი აქ იდოს მან-
რასკეკამდის.

— კარგს ჩავდივართ ამას მეტე?! წაიბუტბუტა კონკრძა.

— კარგს ჩავდივართო! გაიმეორა ბრუფმა:— მას რა კენათ,
ერთი მითხარი? მარტო შიშით შეიძლება იმათის ჯავრის ამოყ-
რას; თორემ ყურსაც არ იბერტყენ, გოყვლეოვენ და გვცარტყენ
შწყალად.

—

დანიშნულს დღეს, ესე იგი, შირველს მანრასკეკს შემდეგ
საიდუმლო სასოგადოების ყრილობისა ბრუფის ყავა-ხანაში,
ჩარლს კლიფორდი სელის ნაბიჯით მიდიოდა გზა-გზა იმ ფერ-
მის ახლო, რომელიც ლაუდერის სადგურის გვერდით იყო.

მიუხლოვდა წაბლის და ცაცხვის ხეებს, მიუხვია მინ-
დვრებისკენ და ღობის ძირში სიარულით, ოცის წუთის შემ-
დეგ, მიაღწია იმ თხრილამდე, რომლის ახლოც კართოფილი
ეთესა და ფრთხილად მიიხედ-მოიხედა. კართოფილი დასრუ-
ლებული იყო და ორშაბათს ამოღებას უშირებდენ. კლიფორდს
რადამაც მოაგონა ეს გარემოება, დილით ვიღაც ბებერის დე-
და - კაცისაგან ნამბობი. ლაუდერს ის დედა - კაცი დღეში
რვა პენსად დაეჭირა.

კლიფორდს მოაგონდა დედა-კაცის სიტყვები და შესტყე-
როდა დასრულებულს კართოფილს. ადგილი კარგა დიდი ეტი-
რს და მოსავალსაც კარგი შირი უჩანდა. ნაცრის-ფერს მცენა-
რეულობაში აქა-იქ მოსჩანდა ყაყჩხის ალის-ფერი ყვავილები;
მინდორს ზემოდამ შეჰელები დაჭოვრისავდენ, კვლებში დასტო-
დენ ყვავები და იმალებოდენ მურყნის სშირ ბუჩქნარს იქით.
კლიფორდმა კარგად გაარჩია წინა-მხარე ლაუდერის სადგურისა.
ეს იყო ძველი დიდი შენობა, კაღესილი ყვითლად და მრავ-

ვალე წვრილი ფანჯრები ჰქონდა. ბანი თეთრის კრამიტით იყო დასურული. ორსავ მხარეს დიდის დაფინის სკები იდგნენ და ჭიანჭველენ მოსამსახურეების სადგურს; მოხანდა მოლოდინს ეკარსად გაღებულ კარი საჯინბოსი. ქვიშა-მოყრილი ეზო გარშემოტყემდა სახლს და დიდ შესავალ კარებთან დაეკრთოთ ყვითელი ვარდი და წამბახი. კარვს მოზდილი ბალი კართოფილის მინდვრამდე თავ-ქვე დაშვებული იყო. ერთ-ერთს უწინდელს მიფლობელს ეს ბალი იტალიურად მოეწეო; მაგრამ დროთა-ბრუნვისა გამო კიბის გვერდით ქვის მოაჯირი ერთ მხარეს ჩაქცეულიყო და ყვითელი ვარდებიც თან ჩაეტანა.

ლადეკი აზირობდა ძალე აქედამ გადასახლებას და ამიტომ ბერს არას დასდევდა ამ შენობას. კარები ღია იყო და დეკორაციის მოხანდა. კიბეზედ ახალი ხალიჩა დაეკრთო, მაგრამ თითონ კიბე კი დაძველებულიყო; ფანჯრებზედ ახალი ფარდები ეფარა, მაგრამ თითონ ფანჯრებს კი საღებავი გადასვლად.

სამინელი სიცხის ბული იდგა; თითქმის უკვლავ ფანჯრები ღია იყო და განურებულს ჭაერში მოისმოდა ბურებისა და კრანხების ბზუილი. მთელი თსუთმეტი წუთი კლიფორდი მოკეცილი იჯდა და შესავალ კარებსა და ფანჯრებს თავაშეუცვლელად შესტყერდა. ეზოში დაძველებულმა საათმა დაჭკრა ეჭვისი. ეს მწუხარე ხმა კლიფორდს რამდენსამე ხანს ყურებში უბუყოდა და თითქო რაღაცა უბედურებას მოასწავებდა. გავიდა კიდევ რამდენიმე წუთი. ალფრედის კარები გაიღო და ძაღლებმა ყევა შექქეს. ლადეკი დაბრუნდა, თუ მუშები გავიდნენ? კლიფორდს კრიჭა შეეკრა და გაშტურებით შესტყერდა კარებს. არავინ არ გამოჩნდა. იქნება ლადეკი შინ უკანა კარებიდან შევიდა. კლიფორდს იქ აღარ ედგომებოდა; ის

პირ-ქვე დაემხრო, ხარკით შეუანა მინდოებს ღ ჩამკრა თხრილ-
ში. მუხლებითა და ხელებით გაჭყვა ამ თხრილს და არ აჭ-
რკვდა ყურადღებას არც ტინტასს, რომელიც უსუსხავდა ხე-
ლების, არც იმის გარშემო მსტომარე ბაყაყებს. რამდენსამე
წუთის შემდეგ საშინლად დაღაღუელი იწვა გულ-აღმა ღრმა
თხრილში, რომელიც ბაღისა და კართოფილის მინდოებს შუა
იყო იმან ძაღუ იპოგნა თოფი ბაღასხების ქვეშ რიდასიც სო-
როში შენახული. თოფი სრულებით მიშალა იყო. გამოიღო
ბუდიდამ, გასტყნა და მოიღო გვერდით. დაჭსკდა საათს: იყო
თორმეტი წუთი შვიდის საათისა; კიდევ ერთი წუთი უნდა
ქლოდნა.

მხოლოდ ეხლა იგრძნო, რომ საშინლად ცხელია; რომ
თმა დასველებოდა და შუბლზედაც რთული მოსდიოდა. ამოი-
ღო ჯიბიდან ხელსახოცი, მოიწმინდა სახე, გვერდზედ გადაბ-
რუნდა და დიდ ხანს უძმავად იწვა. უგრძელ წამოხტა, დაა-
ნება თავი თოფს და მისოსდა იქვე სესთან, რომლის უკანაც
შეკმლო ამოფარება. იქ შეკმლო წელში გამართულიყო და
ძინებ ვერავინ ვერ დაინახავდა. ხელა გასწია შტოები და შე-
ანჭკვრდა სასლს. იმის პირ-და-პირ პურის საჭმელ ოთახის ფან-
ჯრები იყო, მაგრამ თითონ ოთახი გი კარვად არ სჩანდა. აი
ერთს ფანჯარაში თეთრი თავშალი გამოჩნდა. ეს გოგო უნდა
ყოფილიყო. კლიფორდი ფანჯრებს თვალს ადარ ამოკრებდა,
სუნთქვა შეიძარა და შტოები გაწეული ეჭირა. პატარა ხანს
უკან ვიღაც მივიდა მერე ფანჯარასთან, რომელსაც ფარდა
ჭქონდა ჩამოფარებული, მაგრამ არ იყო ძირაძდის დასული
და რაღაც თეთრი გამოხსნდა. ფარდა ხელა აინდა და კლი-
ფორდმა დაინახა ქალი თეთრს ტანისამოსში. კლიფორდი და-
აკვირდა ქალს: ის იყო მალაღის ტანისა, კარგი წამოსადეგი;

გულსკედ ვარდება ჭქონდა გაკეთებული. ეს ლაუდერის ცოლი უნდა ყოფილიყო. კლიფორდი სასტიკად უყურებდა მას. ის იყო ხსალ-გახდა, ლამაზი და ქერა-თმისანი. ქალმა უკან მიიხედა. ამ დროს იმასთან მივიდა ლაუდერი და თანჯარა გააღო.

საშინელი წყევლა ამოუვიდა კლიფორდს გულიდან და იმ დროს რომ ხელში თოფი სჭეროდა, ორივეს მოჭყლავდა. ლაუდერი და იმისი ცოლი მოშორდნენ თანჯარას. კლიფორდმა დაუშვა შტოები, ჩახტა თხრილში და გაბორბტებისაგან ამაგ-მაგებდა კბილებს. რამდენსამე წუთის შემდეგ ის ისევ თავის ალაგას დადგა, ხის უკან. ყელში თითქმის რაღაც მოეჭვნისა და საშინლად მოსწუხრდა; მხედველობა სრულებით აერია. დრო მეტის-მეტად ხელს გადიოდა. იმან მიუგლო ყური, მაგრამ ამაოდ; სახლში სრული სიჩუმე იყო. მხლელად უცნაურად გარკვევით მოაჩნდა ფურცლების ბზუილი ყვავილებში, ჭიკჭიკი მერცხლებისა, რომელნიც თავიანთ ჭერებში გაკეთებულ ბუდეებს დაჭხაროდნენ და თანაბარი ჭრიჭინი ხმელს ბადასში გასვეულ ჭრიჭინასი. უგრად ამოვარდა ნიავი, შესამრია ფოთლები და მათმა შრიალმა ისე შესინა კლიფორდი, რომ მას შინვე ჩახტა თხრილში. გაიარა ერთმა წამმა; კლიფორდი ადგა და წავიდა იმ ადგილას, სადაც თოფი დასტოვა. თხრილის ნაპირსკედ კვლის ბუჩქები იდგა. მსელი იყო დამაღვა, მაგრამ კლიფორდმა მინც აიღო თავი და შეისკდა სახლისკენ.

კარებში იდგა ლაუდერი. ის იყო ლამაზის სახის კაცი, ძალიან. ჭქონდა შავი თმა და სქელი წვერები. ტანსკედ მონადირეების სერთუი ეცვა და ძლიან შეკნოდა. ის სწევდა სიგარას. ერთს წამს კლიფორდმა დაავლო თოფს ხელი და გასდო ხესკედ; ამოდო ნიშნში და თითიც მხად ჭქონდა ჩახმანსკედ დადებულად; ამ დროს ლაუდერთან მიიბრინა იმისმა

პატარა ვაჟმა და რაღაც სთხოვა. სპინელი წამი იყო. კლი-
ფორდმა გაუშვა ხელიდამ თოფი, პირხედ ხელები დაიფარა
და მეტის-მეტის ტანჯვისა და გაბორბლებისაგან მწარედ ამო-
იკვნეს. შუბლხედ ცივი ოფლი გამოსკდა და გაჩვევით გა-
იგონა, რომ ლაუდერმა უთხრა თავის შვილს: «წადი, წადი
იმასთან». ბავშვი შინ შეიჭრა; ლაუდერი პირში სიგარით გა-
მოვიდა ბაღში. გავარდა თოფი. ლაუდერი შეჭერთა და დაეცა
პირ-ქვე თავის კარებზედ.

კლიფორდმა იმ წამსვე მიატოვა თოფი და გაიქცა თხრი-
ლის გასწვრივ; ხოხვით მივიდა მინდვრამდე, ელვასავით გაიარ-
ბინა იგი და ღობე-ღობე გაიარა მდინარემდე. გასისხლიანე-
ბულმა და ტანისამოს-ჩამოფხრეწილმა ჭინჭრისა და ეკლები-
საგან ძლივს მიაღწია წყლის პირამდე. ფრთხილად მოიხედა
უკან; არავინ არ მოჩანდა; ვიღასიც ძრახს სვამდა წყალს და
გაუთხა იმის ფეხის ხმაზედ. კლიფორდი მიიჭრა ფონთან,
გაიხდა წაღები, სემოდ დაიჭირა და შეტრია წყალში, რომ-
მელმაც მკურდამდე მიუწია. გაჩერდა და ცხარედ დაეწაფა წყალს.
მერე დაიბანა თავ-პირი და ხელებიდან სისხლი მოიხრეცხა. მკო-
რე ნაპირას რომ გავიდა, დაჟდა და წაღების ჩაცმა დააპირა.
უცრად ხეების უკანდამ ვიღაც გამოვიდა და დააკვირდა მას.
კლიფორდმა გულ-მოსულმა შეუკურთხა. ის იყო მერი გეოერ-
ნანის შვილი.

— მოასწრობ, უთხრა იმან კლიფორდს და მიაწოდა არა-
ვით ბოთლი.

— კლიფორდმა უცბად დასცალა და მიაგდო ბოთლი. ბე-
ფერნანს გაეცინა.

— ბუჩქნარს წაჭკვე, ჩარლი, და საყდარში უკანა კარებიდან
შედი. იქ შეეჯახი გელანს.

— ვიცი, ვიცი, დაგწეკვლას ღმერთმა, მომშორდი! ანკინ დაგინახოს.

— ჩემი ჯავრი ნუ გაქვს, უპასუხა გეგერნანმა. — მაგრამ შენ რა დაგეძარათა, თითქო გეშინიანო?

კლიფორდს მთელი სსუელი უგანკალებდა და ტუჩებზედ დუჟი მოსდიოდა; იმან აიძარათა ხელი გეგერნანისაკენ, თითქო დარტყმას უშირებსო, მაგრამ იმ წამსვე გიყსავით მოჭკურტხლას მინდვრისაკენ.

ჟემს გეგერნანმა აიღო ბოთლი, ჩაიღო ჯიბეში და მივიდა წყლის ნახირას იმ ალაგას, სადაც კლიფორდი გამოვიდა. ფეხის კვალი სრულებით ანა სჩანდა და კლიფორდის ტანისამოსისაგან ჩამოწუნწკლული წყალიც ბალახს შეეშრო. კლიფორდს კიდევ ხუთის მილის გაკლას მოუნდებოდა საცხეში და ამ დროს ტანისამოსი მოასწრობდა შეშრობას და თუნდა ან შეშრობილიყო, მაინც გერანინ რას შეამჩნევდა.

მზე ჩასული იყო და ღამურებიც დაჭურინაკდენ სასაფლაოზედ, როდესაც დაღაღუღ-დაქანტული კლიფორდი შევიდა გარტსკრიპის საყდარში. კუთხეში ათამდის მლოცველი დანოქილნი იდგნენ. სრული სიჩუმე სუფევდა; ტრანკისა წინ ზატარა ლემას ბუუტავდა. ზატერი კათედრიდამ ჭქადაკობდა და იქიდან ურუდ მოასმობდა იმისი ხმა. კლიფორდი მივიდა ტრანკისა წინ, დაეცა მუხლის თაკებზედ. ყველა თავს ადევნებდა მას. ზოგმა ერთმანერთს შეჭხედეს. რამდენსამე ხანს ის უძრავად იყო; ტუჩები უგანკალებდენ. მერე წამოდგა და შორს კუთხეში მივიდა, დაეცა ძირს და იღო ისე უგრძობლად, კიდრე სხვებმა ან გამოიყვანეს.

გეფერნანი დაიჭირეს, როგორც ბრალდებული ლაუდერის მკვლელობაში, რადგან იმის დედ მამა ეძღუებოდნენ ლაუდერს. მაგრამ იმან წარმოადგინა მოწმეები, რომელთაც ფიცის-ქვეშ აჩვენეს, რომ ის მთელი საღამო საუდარში იყო აღსარების სათქმელად და თავი განითავისუფლდა. მასუქან კლიფორდი დაიჭირეს, მაგრამ ისიც იმავე მოწმობის ძალით განათავისუფლეს. ამ გვარად ხუთასი უჩინგო, რომელიც ლაუდერის მკვლელის დამკერს დაქნიშნა, მიემატა სასსლის ფულს, უსარგებლოდ შენახულს დუბლინის ციხეში.

თეატრი.

I

ახალი მოთამაშეები.

რადგან ჩვენი ცხოვრება — შეუყენებელი მოძრაობაა, ამიტომაც ვინც წინ არ მიდის, ის უეჭველია უკან ჩამორჩება; რაც დღეს მოსაწონს საქმედ გვეჩვენებოდა, იქნება ხვალ აწიფრად ჩავაგდოთ, რადგან მეტს მოველოდით და საქმე კი ერთს ადგილას გაჩერებულა.

ეს უბრალო ჭეშმარიტება მოგვაგონდება სოლომე, როცა ჩვენს აქტიორებს ვუტყუროთ. პირველში სშირად დავდიოდით თეატრში და გულ-წრფელად ტაშს ვუგზავდით ყოველ სიტუაცზე, რადგან მათში ვხედავდით, ნიჭს და კეთილ საქმეს; გაიარა ორმა-სამმა წელმა და ვრწმუნდებით, რომ იმათ თავიანთ ნიჭი საკმაოდ არ შეუმუშავებიათ და კეთილ საქმეს უმეცრად და უგულოდ ეკიდებიან.

აი ნამდვილი მიზეზი იმ განქოებისა, რომ ჩვენ ჩვენი თეატრი მოგვებოდა. ზოგნი ამბობენ, სულ ერთნი და იგივენი თამაშობენ და იმიტომ აღარ გვეხალისება თეატრში სიარულით. მაგრამ ეს შემცდარ აზრად მიგვაჩნია. სხვა ქალაქებში, სშირად ერთი და იგივე აქტიორები ათს, თხუთმეტს, ოცს წელიწადს ერთსა და იმავე სტენაზე გამოდიან და

თან-და-თან უფრო აყვარებენ თავს ჰუბლიკას. გინდ მაგალითად ავიღოთ მოსკოვის თეატრი: ამ ათიოდ წლის წინად, დიდი ხნის განმავლობაში, შირველ რეალებში მხოლოდ შუმსკი, სადოვსკი, ყივოკინი, სამარინი, ავიმოვისა, ქედროტოვისა და ნიკოლინისა თამაშობდნენ და მოსკოვის ჰუბლიკა იმათ თამაშობისაგან უკველთვის აღტაცებაში მოდიოდა. რადგან ესენი ერთს ადგილას კი არ იდგნენ გაჩერებულნი, — ახალს რეალებს თამაშობდნენ, ახალს ამწლუას ირჩევდნენ, ძველს რეალებს აუძვობესებდნენ, ისწორებდნენ თავიანთ თამაშობას და ბოლოს თავის საკვირველ სწლოვნებით ასე აოცებდნენ მყურებელს, რომ ეს ერთსა და იმავე პიესის საცქერლად ზედისედა ათჯერ-თხუთმეტჯერ მიდიოდა, (მაგ. ლიუბიმ ტორცოვი — სადოვსკი, ან სკაპენი — შუმსკი); ამ პიესის-გამეორებაში აქტიორები ისვენებდნენ და დროს ჰოულობდნენ უფრო კარგად შეესწავლათ ახალი რეალები.

მკითხველს, რასაკვირველია, შეუძლიან მომიგოს, რომ ჩვენი ჰუბლიკა — მცირე ჰუბლიკაა. მოსკოვში და სხვა ქალაქებში სულ სხვა-და-სხვა ხალხს შეუძლიან სიარული და ჩვენში კი სულ ერთნი და იგივენი დავდივართო. მაგრამ კონსოკამის მთქმელს ესეც მოაგონოს. რომ სხვაგან ეგრე ძლიერად არ იცვლება ხალხი თეატრში, როგორც გვგონია. (ამას გვიმტკიცებს გავრცელებული ჩვეულება აბონემენტის აღებისა) და ამის გარდა ქართველი ჰუბლიკა, თუნდ ერთი და იგივე იყოს, ეგრე ხშირადაც არ დადის თეატრში, რომ კარგი თამაშობა მოჰბეზრდეს; ქართული წარმოდგენა კვირასში ერთხლის მტად ძლიერ იშვიათად იმართება.

ჩვენს აქტიორებს თამაშის გაუმჯობესობა დიდად არ ეტეობა! ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომელიც დამტკიცებას არ მოით-

ხოვს; ყველასე აშკარად პიესის გამოერებაზე სჩანს: მეორედ და მესამედ ნათამაშეკ პიესას თითქო უფრო სუსტად თამაშობენ, ვიდრე სხალსა. მხოლოდ ერთს მოთამაშეს შეკატყეთ სასიამოვნო ცუდილება. ბ. კ. მესხა, რომელიც ამ ორის წლის წინად თამაშობდა იმერლის და ზოგიერთ ვოდვეილურ როლებს, ესლას ეჩვენა შუბლივას დრამატიულ როლში, პიესაში «შეშლილია». კ. მესხმა თავის სხალი როლი ზოგ ადგილას კეთილ-სინიდაისანად და ხელოვნურად აასრულა, მაგრამ, თუმიც ამ აქტიორის სამოღვაწე-გარედ გასავსაგანად გაიმართა კონცერტი და ორი წარმოდგენა, მაინც ის ერთის წლის სწავლის ან დასვენების შემდეგ, ორი თვის განმავლობაში მხოლოდ ერთს როლში გვეჩვენა (ორს აწაწა ვოდვეილში როლს არ კანგარიშობთ) და ნება გვაქვს ვთქვათ, რომ არა გვეჩვენა შემთხვევა დიდი რამ წარმატება შეგვეძინა ამ აქტიორისათვის. ეს არის მიზეზი, რომ დიდის სიამოვნებით მოკვლადით ყოველთვის ახალს მოთამაშებებს. პირველი დებიუტი ერგათ ბ. ხერხეულიძისას. ის თამაშობდა «ყვარულურე ათაბაგში» წინარ, ყოვლად მომთმენ, საყვარელის ქმრისგან დატანჯულ ცოლს და «შეშლილიაში» იმკვანსავე როლს. სუსტი ხმა, ენერჯიის ნაკლებეკანება თამაშობაში, გგონია, ვერ მისცემს ნებას ამ ახალ აქტირისას ითამაშოს ძლიერი დრამატიული როლები, მაგ. «სამშობლში» ქეთევანისა, ან «ორს ცეცხლს-შუაში» მსტილდასი. მაგრამ ქართულ რეპერტუარში ბევრი მცირე დრამატიული როლია სხვა-და-სხვა კომედიასი და ეს როლები შეეიყვრება ბ. ხერხეულიძის ნიჭს; მაგ. «შემოსავლიან ადგილში» ვიშნევსკის ცოლისა, «პეპოში» გეგისა, «დანგრეულ ოჯახში» მაიკოსი, ან შემოსხსენებული როლები «ყვარულურე ათაბაგში» და «შეშლილიაში». ამ გვარ როლებისათვის სხვა აქტირისა არა.

გვეყვს; კომიუგური მოთამაშეები ამ გვარ რალებში ან გვარცინებენ, ან გვამინებენ და ბ. სურსეულიძის დეკლამაციას, თუმცა კი უაქტიურს. ყოველთვის საამოცნებით ვუკვდებით ყურს.

გვიკვირს, რაგორ გამომუშავს პირველად სტენანსე რუსიკის ქალი ისეთ მწელ დრამატულ რაღში, რაგორც ახანისა სუნდუგანცის «კიდევ ერთს მსხვერპლში». მოდებიუტეს არ ეტყობოდა სრულებით სტენიური ნიჭი, და გინდაც ქმონოდა ეს ნიჭი, ვერ გამოიჩინდა იმას, რადგან პირველ გამოსვლასედეკ ისეთ რაღს ათამაშებდენ. ამ გვარ დაუდევრელობით რუსიკის შეუძლიან გული გაუტყნოს სხვებსაც, რომელთაც სტენანსე გამოსვლას სურთ. მართალია თამაშობით გერაფრად გვასამოცნას რუსიკე-ყორჩიშოვის ქალმა, მაგრამ თავის სასიით და ტანადობით შეუძლიან ცხოველი სურათები (და არა «ცოცხალი სურათები») დამშვენოს. ეს სურათები ქართულ წარმოდგენებსე ორჯერ გაიმართა და ორჯერვე ხელგუნურად. რა კი რაღების დასწავლას უძნელდება ჩვენს თეატრის დასს, ახალის უზრეო ვოდევილების მაკეცად ისევ ამისთანა სურათები გვიჩვენოს ხოლმე.

ყველასე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პუბლიკასე ალექსეევ-მესხიევმა. ეს პირველად გამოვიდა «შეშლილასში» ვინდაც ქარაფუტა ჭრანტის პატარა რაღში, შემდეგ «დაქცეულ ოჯახში» თამაშობდა უმთავრეს მოქმედ პირს — თავადს ანდოს, რომელიც იტანჯება თავის ცოლის დალატით. ამ დრამატულ რაღში გამოიჩინა ახლმა მოთამაშემ ნამდვილი ნიჭი; იმის გრძნობიერი, ელექტრიული ხმა, იმის სტენის ცოდნა, ბევრჯერ დაავიწყებს მაყურებელს, რომ ის თეატრშია. «დანგრეულ ოჯახის» წარმოდგენასე ბევრი ატირა ჩვენი ქალები და თავის მონოლოგებით საკმაოდ გაათბო ჩვენი ცივი,

ცალიერი თეატრი. ამის შუამდგომელად ეს აქტიორი თამაშობდა მიხეილის როლს „კიდეკ ეთო მსხვერპლში“; ეს როლი ახალ-გაზრდა კაცისა, რომელსაც უყვარს დედ-მამის წყალობით დაშორებული ახანი და რომლისაგანაც შეეყვარებულა, — ნაკლების ხელაგებობით იყო ასრულებული. აქ ცხადად დაეტყო მოთამაშეს ისეთი ნაკლულეკანება, რომელიც უეჭველად თავიდან უნდა აიშორას, თორემ ნიჭი ვერას უშეგელის და იმისი მნიშვნელობა გაქარწყლდება. ეს ნაკლულეკანება არის: 1) ქართულის ენის, ან იქნება როლის უცოდინარობა. სუნდუკიანცის პიესაში ის ხშირად შეჩერდებოდა ნახევარ სიტყვასზე, ან ნახევარ ჭრახვასზე, ენა ებმოდა და დრამატული მონოლოგები შუა უწყვეტდებოდა. 2) ხშირად მაკბამავს ხოლმე ცრუ-კლასიკურ იერს და მეტის-მეტად სენტიმენტალურად, ან ტრაგიულად ლაშარაკობს; უამისოდან გრძნობიერი ხმა აქვს და ძალის დატანება საჭირო აღარ არის.

ეს ნაკლულეკანებანი რომ აიცილოს თავიდან აღექვსეკემესიეკმა, შესაძლო იქნება ჩვენს სცენასზე დრამების წარმოდგენა. იმის მიხვრა-მოხვრა, შესედულობა, ხმა, სცენის ცოდნა, ნიჭი ნებას აძლევს ახალ-გაზრდა მოაწიეკთა როლები თამაშოს. კარგი ჭკუა იხმარა ბ. მოხეკემ, რომ ამ როლებს დაანება თავი და ესლა მოხუცებულებს არდგენს. ახალ-გაზრდა კაცის როლებში იმას აკლდა სიცხოველე, მოძრაობა, გრძნობა, ბებერს კი თამაშობს დიდის სინამდვილით (ბრძილიანტოვის როლი, „კიდეკ ეთო მსხვერპლში“).

უკანასკნელი რჩევა კიდეკ ახალს მოთამაშეებს: ვთხოვთ, ნუ ენდობიან ვერაგ ტაშის-ვერას, თორემ ძალე ეს ტაშის-ვერას მოქნარებად გადაექტეკათ; ნუ დაივიწყებენ, რომ ისინი ჭკერ შკეირდები არიან და საჭიროა ჭკერ კიდეკ ბევრი სწავლა. თუ

ეს გუელში ექნებათ, იმათ ზუბღიკა ან უღაღატებს ისე, რომ გორც უღაღატა იმათ ამხანაგებს.

Li

«მომავკვდავნი», კომედია 4 მოქმედებად (მიბაძვა) თ. გ. შარვაშიძისა.—(ქართული თეატრი, 11 ნოემბერს.)

თვით პიესასე აქ ჩვენ ბერს ვერას ვიტყვი, რადგან ის ახალს აჩას წარმოგვიდგენს ქართულს რესურტუარში. ეს არ არის ხასიათების დამძინველი და ყოველ-მხრივ გამომხატავი კომედია (როგორც ვკარწმუნებს «დროებაში» რეცენზენტები ეძუ), რადგან ანამც თუ ძეორე მომქმედ შირების, თვით უმთავრესის შირის გრიგელ ბატონი-შვილის ხასიათიც კი ვერ გაგვიგია და, ამას გარდა, ვერც ის შეგნიშნეთ, რა თვალთუყურებს ავტორი ჩვენს ცნოვრებას. გრიგელ ბატონი-შვილი გვეხულებს თავის იღბლიანობას ქალებში და ენიძლავება ერთს შოლიციულს, რომ ვინც ქალი დამხვდება, ორის დღის განმავლობაში იმის გუელს სრულიად მოვიკებო. ამის შემდეგ, სედავს დავდარინათ მშვენიერ ქალს, სალომეს, და სთხოვს თავის ნაცნობს ქვრივს მართას, ამ ღამაზე ქალთან შეყვარდეს. მართა სალომეს მაგიერ ბნელს ოთახში თავის გოგოსთან შეყვრის გრიგელს და ამხანაგ ჭკონია სალომესთან ვსტებებიო. გრიგელი ნიძლავს იკებს და გვეხულებს სალომესთან დაახლოვებას, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ესმის თავის შეცდომა და ბოდიშს იხდის იმ პატიოსან ქალთან და მის რანდ სჟმ-რესთან. აქ ხასიათი კი არ არის, უხასიათობაა.

ეს პიესა—ანტირიგის პიესაა, ეკუთვნის სკრიბის შკოლას და როგორც სხვა მრავალთ - უმრავლესი ამ გვარის ტრანსრიული პიესა, საკმაოდ კომპლექსით და სტრუქტურით. გინტ პირველად ჰსებდავს მას, აღტაცებაში მოდის; ავტორი ყოველწამს რამე შინადას, გამოცანას ეუბნება მყურებელს და რატორის შემთხვევით ან სიტყვით უხსნის ამ გამოცანას. მორედ და მესამედ მოგუწოდებით ამისთანა პიესების წარმოდგენა, მეოთხედ და მესუთედ კი ფიქრადან არ მოგვიკათ თეატრში წასვლა.

სულ სხვა თვისება სჭირს ხასიათების კომედიას ან დრამას. ადამიანის გული მეტად მწელი გამოცანას; აქ ახირებულ შემთხვევას ან მოსწრებულ სიტყვას დიდი მნიშვნელობა ანა აქვს, აქ ცხოვრების სისამაგლის სურათი პირველად გუნებას გიფუტებთ, ხანობთ გადაც რომ თეატრში მოხვედით, შინატ მუფოფა ჩემი ყოველ-დღიური უსიამოვნობაო, ფიქრობთ თქვენ. მაგრამ, ავტორი თუ ნატიყრია, შეუნიშნავად, ცოტ-ცოტად, და მასთანვე საფუძვლიანად გაახლოვებთ მომქმედ პირებს, უნებურად უმეგობრდებით ზოგს მათგანს და ზოგს კმტერებით, და ბოლოს შეგნვევით იმათ ისე, რომ როცა გამოდიხართ თეატრიდან, ხშირად აგონებთ და ადარებთ თქვენს ნაცნობებს, ნათესავებს და თქვენს თავსაც. მეორე და მესამე წარმოდგენაზე პიესისაგან აღტაცებაში მოდიხართ, მეოთხე და მესუთე წარმოდგენაზე ზეპირად ახსომებთ საუკეთესო სტენებს, და შემდეგ ცხოვრებაში, ხშირად საყვარელ დრამის ენით დაშარვობთ. ამ გვარის პიესები, ჩვენდა სამწუხაროდ. ქართულ რეპერტუარში ძლიერ ცოტაა, იმათ კმზგასება მხოლოდ სუნდუკიანტის პიესები, დანარჩენი ახალი ტარსები და ქელოდრ-

მები «ვინტო», «მათიეო», «შეშლილია», ან ასევე ობსკურულ-ბა თ. გ. შარვაშიძისა ეკუთვნის პირველ რიგს ჰიესებს.

აქ რამდენსამე სიტყვას ვიტყვით აქტიორების თამაშობასზედაც. ინტრიგის ჰიესაში, რაც უნდა სუსტი იყოს იგი, დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველს სიტყვას. ეს მეტადრე თ. შარვაშიძის ჰიესასე ითქმის, სადაც დახლართული შინაარსია. მოთამაშემ ამ გვარ შებოსვევებში თავის მხრივ არც არაფერი უნდა დააკლეს, არც დაუმტოს.

ჩვენმა აქტიორებმა «მომავალეებს» დააკლეს მეორე მოქმედების ბოლო, ის ადგილი, სადა მართა გრიგოლს, სადომესთან მიყვანის მაგივრად, თავის გოგოსთან მიიყვანს. ამის გამო ჰიესა თითქმის გაუგებარი დაჩნა მყოფებლებისათვის. თუ ეს სტენს მეტად უმართებულად იყო, შეიძლება და სხვა რამ მოეგონათ და შეუბრალოთ გი სასტად არ დაეგდოთ.

ჰიესას კარგად თვალ-ყური ვერ ადევნა შეუბრალოთ ვიდეკი იმიტომ, რომ ზოგიერთა მოთამაშენი ცდილობდნენ სახის გამოყვანილობით, ტანისამოსით, სიტყვების გამოთქმით სხვადასხვა კერძო პირობისთვის მიებაძათ. ყველა ამით სასესე, ტანისამოსს და სიარულს უყურებდა და დახლართულ ინტრიგის გასაგებად გი დრო არა ჰქონდა.

ჩვენ იმ აზრისა არ ვართ, რომ ვინმეს უსაყვედურით: კერძო პირობა მოქსედება საქეყენად სასაცილოდ რად გამოიყვანეს. კაცის მოქმედება თუ ღიწისა დანინვისა და თუ კაცი საზოგადოებას ავნებს თავის ავის ყოფა-ქცევით, ამ გვარის ყოფა-ქცევის დასჯა ვალდა მწერლობისა და თეატრისა, რადგან ორივე უნდა თავ-განწირვით ემსახურონ საზოგადო სიკეთეს. მაგრამ ნუ შეესებით კერძო პირობა სასესე, იმათ სძის, იმათ ტანისამოსს, ეს სულ უქმი საქმეა, მყოფებელის თავ-

ღის ამტკიცებას. გამოიყვანეთ ბოლოტი ადამიანი სტენსსე ისე, რომ ქვეყანამ იცნოს გარეგანობით კი არა, მის მოქმედებით, მის აზრებით, მის გავლენით. თორემ თუ თეატრში სამდვიო პირობის პორტრეტები წამოგვიყენებს თავად - წინ. შეიძლება ბევრი ცილის-წამება მოხდეს: შეიძლება. მოთამაშემ პატრიოსან და ღირსეულ კაცის სახე გაიკეთოს და რომელიმე აკანაკი კი წარმოადგინოს.

აი ამიტომ საუკეთესო თეატრები ევროპაში უკანადადგენ თავიანთ მოთამაშეებს ცენტრალ პირობის ამ გვარზე და უკანადადგენ მათ მათი კვალიან.

გ. თ.

შინაური მიმოხილვა.

ქვეყანა ვისია—ოქრო და ხმალი— ხმალი და გუთანი— სახე-
ლოსნო-სამეურნო სკოლა—სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს
პროექტი—ჩვენის თეატრის გამო.

ქვეყანა ვისია? «ყოველივე ჩემიაო, ამბობს ოქრო. ყო-
ველივე ჩემიაო, იძახის ხმალი. ყოველსავერს ვიყიდიო, მოჭ-
კვესს ოქრო. ყოველს ფერს სკლში ვიკვებო, იქადის ხმალი.
მითამ ეგრეა? ანა გვგონია. ჩვენის ფიქრით, თავ-მოწონე-
ბუფს ოქროს და გაზვიადებულს ხმალს, — ამ ორს შატიოსანს
მეტოქეს დაჭვიწეებით, რომ ქვეყანასედ მაგათ გარდა არის
ერთი კიდე რაღაცა, რომელსაც, თუ არ შირველი, უგანასკე-
ლი ადგილი არ უჭირავს ქვეყნის განაწილებაში. მართალია,
ის ერთი რაღაცა ქედ-მოხრილია. ჩუმი, წყნარი, უწყინარი,
ტანად-მრუდე, მაგრამ გულთ მართალი და შირად ბრწყინვა-
ლია. იგი ხმა-ამოუღებელი, ხმა-გაკმენდილი, ფეს-მძიმედ დაია-
რება ქვეყანასედ: არცა ჭკვესს. არცა ბაქიაობს, არცა არავის ერ-
ჩის. არცა არავის ეცილება და საქმობს თავის-თავად დინჯად,
აუშოეთებლად სულ მუდამ და დაუძინებელი. იმას რომ ერთს
ბეწო ხანს ჩაჭსთვლიდოს, არც ოქროსდა ექმნება რამე ხას-
ყადავი და არც ხმალს მოსატარებელი. იმას რომ ერთს ბეწო
ხანს ჩაჭსთვლიდოს მეთქი, არ ვინც ქვეყანას რა დაემართებო-
და, თუნდა ოქროს მთები იდგას და ხმალების ტყეები. უძი-

სოდ ოქროს ქვეყანაზედ მოედანი არა აქვს და არც თვაითონ ძალჯანს ხმაღს დიდი და სანგრძლივი მანძილი. ის ერთი რაღაცა—გუთანია.

აი ამ ტყეშია გუთანს შეუძლიან ოქროსა და ხმლის შუა ჩადგეს და თავისებურად დინჯად და მშვიდობიანად უთხრას: «შენ, ოქროვ, უჩემოდ უქმი ხარ, არაფერში გამოსაყენებელი. უჩემოდ გაბათილებული ვექსილი ხარ, ანუ, უკად გჭსთქვათ, გაკურტრებული კაცის თამასუქი: ეჭნება რამე, მიიღებ, არა და შირში ჩნდა გამოავლე და თუნდა თავი წყალს მიეცი. შენ შენით რა ხარ? სასკადრი და სხვა არაფერი. თუ მე ავკადე რამე, სომ რა კარგი, თუ არა და ზედან რომ არაყინ შემოგხედოს, ბერს არას დაჭკარკავს. ჩმაღ, შენ*კი... იქნება უჩემოდ შესძლო რამე, მაგრამ ისე კი როგორც ნიაღვარი: მოკარდები. წარღვნი, წაღვეკე, მიღვეწ-მოღვეწ, ბოლოს კი, როცა იქნება, ჩავიღი და ჩაშრები ჭ თუ მე მიმიძნობ, მაშინ კი ქვეყანა ჩვენია.» დიას, ბატონებო, ჩვენის გულითადის თქვით, ქვეყანა იმისია, ვისაც ერთს სელში ხმაღი უჭირავს და მეორეში გუთანია. მარტო ხმაღი, მართალია, თავისითაც ძლიერია, მაგრამ ვერსად სანგრძლივ თქვს ვერ მოივიდებს, თუ ამხანაგად გუთანია არ იყოღია. ამისი მაგალითი სხვათა შორის მონგოლები არიან. ამათ მარტო ხმაღს დაუკვრეს, ისინი მარტო ხმაღს მიენდნენ: მაკივინენ ქვეყანას, დაიზერეს ქვეყნები, დაჭსწვეს, შეჭმურეს, მიანგრ-მოანგრეს და ბოლოს სომ თითონაც მტვრად აღგვიღ იქმნენ.

წარჩინებულნი ერთი ევროპისანი თითქმის სულ ხმლით მისეულნი ერთი არიან. მაგრამ საცა კი მივიდნენ, ყველგან გუთანია მიიძნურეს და აჭა დღეს ვხედავთ, რომ ყოვლად მტკიცენი და მკვიდრნი არიან თავის ადგილებში. იმათი ადგილი-

დამ დამკრან კელანაიკრმა ვერ შექსძლო. არან და აქნებთან უკუნისამდე.

მორს წასვლა საჭირო არ არის. მაგალითი თავად-წინ გვიდგას. მაგალითები ჩვენ თვითონ ქართველები ვართ. ეს ერთი მუცლა ხალხი რამ შეგვინახს? სძაღმა და გუთანმა. ჩვენ რომ დღეს ბინა გვაქვს. ადგილზედ რომ ფეს-მეკიდებულები ვართ, სხვებსაგით არ დავიქსაქსენით, არ გადაგვცვივდით აქედ-აქით; ჩვენ რომ ამდენს დაუძინებულს მტრის გავუძელოთ, გავუძელოთ და გადავრჩით, ჩვენი ერი რომ დედა-მიწას შერხა და დედა-მიწა ერთსა — ეგ იმიტომ-რომ ერთს სელში სძალი ტოტკრის და მეორეში გუთანს დასაბაძიდგანვე დღემდე. ესეც ვიქნებით შემდეგშია, თუ ეგ ორი უძლეველი ძალ-ღონე ერთს სიმკვიდრისა ხელთ გვაქნება.

რასაკვირველია, სძალი ძაშინ უფრო ვარჯის, როცა იგი ფარის და არა სატყვარი. მაგრამ რასა აქ? ეს უბედური ქვეყანა ისე დაეწყო, რომ სძალი უფრო სატყვრობს, ვიდრე ფარობს. დამიანის გაუძლომეფმა წაძილმა ეს უკეთესი მხარე სძლისა დაჩიუნჯა და უარესი გაღესა. მინამ ქვეყანასა და ძალს აღმართსა ხნავს, სძაღმა ორ-გვარს სძისახური უნდა გაუწიოს თავის ზატრობის იმის მინდვრით, თუ შემთხვევას და ფათურავი რა დროს რას მოითხოვს. გუთანს კი ერთი განსაკუთრებული მშვიდობიანი დანიშნულება აქვს: დედა-მიწის უნგი გული გადაგვიშალოს და აქილამ საზრდოება გავწვიდოს. გუთანს, ქართველებო, გუთანს! და სძალი იყოს ფარი მისი, თავი და ბოლო აქ არის, დამიჯერეთ. წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დაჩიებინა, ნათქვამია. მყოლობი იმისია, ვინც მიწასზედ ფეს-გადგომულია და მიწას ამოქმედებს სძლის ძეგრველობის ქვეშ. თვითონ დიდა რომი, თითქმის მთელის

ქვეყნის მშენებელი, დაეცა, იმიტომ-რომ მარტო ხმალი ეჭი-
რა ხელში და გუთანი კი არა.

ყოველივე ეს იმიტომ კი არა ვჭსთქვი, რომ აქა და
გუთანი გვიჭინავს ხელში. გულის ხელები დავიგრიფოთ და
ამით მოვიწინოთ თავი. არა, ბატონებო, გუთანს ცოდნაც
უნდა, რომ ერთი ათად იმაზედ მეტი შეჭსდღოს, რის შემ-
დლებელიც აქამდე იყო. ერთი უმთავრესი სახსარი ცოდნის
შექმენისა სკოლას და იმ ცოდნისა, რომელიც გუთანს, ანუ
უკვე ვჭსთქვით, მიწის მოქმედებას ხელს უწყობს და შეჭთვე-
რის, სამეურნო სკოლას. ამ გვარის სკოლების გამართვა ჩვენ-
ში აუცილებელი საჭიროებაა და მით უფრო ადვილი, რომ
ესა სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ რუსეთში საკმაოდ
ფართო გზა მიჭსდა საზოგადოებას მაგ სკოლების დაარსები-
სათვის. ფრიად საეურობდებო აზრებია გამართქმული სამინის-
ტროს პრექტში ამ საგანზე და თუ ის პრექტი დამტკიც-
და და როგორმე ჩვენამდინაც მოაღწია, დიდი საქმე იქმნება.
აი ამ საგანზე რას იჭრება ერთი რუსული გაზეთი: «ახალი
პრექტი სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსი სრულ ნებას
და უფლებას აძლევს თვითონ ერობას, მეურნობის საზოგა-
დოებას და კერძო პირთაც, გამართონ სახელმწიფო-სამეურნო
სკოლები. გამართველთა ნებაზედ არის მიგდებული, დაარსონ
ეკ სკოლები კერძო პირთა მამულებში, თუ სხვაგან სადმე.
მთავრობა თუძცა ჭკისრულობს ნაწილს სკოლის ხარჯისას, მაგ-
რამ სკოლის გამართველთ სრულს ნებას აძლევს თვითონ
ამოიწიონ სკოლის გამკებელიც, რეკტორებიც და მწრუხველე-
ბიც და ყოველივე გამკებო ხკოლისა თვითონ იჭინონ. მხრ-
ლად უძაღვესი ხკდა - მხედველობა და ხკლთ - მძღვანკლობა
რჩება მთავრობასა. სახელმწიფო-სამეურნო სკოლაში მოსამს-

ხურების გასამსჯელად და აგრეთვე სამსახურის უფლებანი უფრო უკეთესნი ანაინ, ვიდრე საოსტატო სემინარიის მისამსახურებისა.»

გარდა ამისა, რადგანაც ამისთანა სკოლაში უფრო მოზდილი უმწვილები უნდა შევიდნენ და მოზდილი უმწვილო გლეხ-განცხათვის რადმე დიან შინაობაში, და იმისი მოძიება მისთვის დასაკლავისა, დადებულა, რომ ყოველი შევირილი, რომელიც სკოლაში შევა, მოკვამაგირესაგით იყოს: ეძლიოს საცმელი, სასმელი, საცმელი და კვამაგირება.

თუ ღმერთმა იპირინა, ეს პრექტი დამტკიცდა და ჩვენ გველინა, იქნება ჩვენ გვეშველოს რადმე. სხვა რომ არ იყოს, აქამდის კერძად გამხელებული საქმე სკოლის გამართვისა, ნება-დართვის აღებისა: გაადვილებული მანც იქნება, აქაური სამეურნო საზოგადოება. მას აქედ, რაც ლოჭინის სკოლა გაუქმდა: ბევრსა ქსტდილობს მაგ კვარის სკოლის გამართვისა, მაგრამ დღეს აქამოდვე კერაიერს გამხდაც. ამას წინადაც, ესე იგი, უნახსენებელს კრებაზედ, ვიდრე ჩამოაგდეს ამ საგანზედ ღაზანკი და არ ვიცით ბოლო როდის მოელებს სიტუვას და სიტუვას საქმედ როდის გადაქრეკვა. ჩვენ ვურჩევთ აქაურს სამეურნო საზოგადოებას, თვალ-უური ადევნოს შემოსახლებულს პრექტს და როცა დამტკიცდება, იშუადგომდეს, რომ ჩვენშიაც შემოღებულ იქმნას. თორემ, როგორც ვიცით ზოგიერთების თანხარიკი, აქაც «ადგილობრივ გარემოებას» წამოხსნიანკვენ და მის მოწყვლებით შირში ჩადას: გამოგვისმენ.

ამ ბოლოს დროს ხშირი ღაზანკი გაიმართა ჩვენის ქართულის თვარის თაობაზედ. უჩივიან ცოტა ხალხი დადის და მართალიც არის. მართალია, ჩვენც სამწყხაროდ, მაგრამ

ამის მიზეზს მოძებნა უნდა და, თუ შესაძლებელია, მოსპობაცა. მიზეზების მძიებელთ დაუყინიათ. ყველაფერში კომიტეტის დამნაშავეა. ამ ბოლოს დროს ძალიან გაუადვილდათ ამ გვარის მიზეზების პოვნა. თუ რაიმე საქმეს თვალ-სახინოვანი, ანუ საზოგადოება ჭეკავს, მაშინვე განხრებულნი მიჭსტვივიან და ყვირიან: მიზეზი აი ეს კაცია, ანუ ეს საზოგადოებაა და კმყოფილნი ფართობებენ, თითქო ან კაცი, ან საზოგადოება ყოვლად შემძლებელი იყოს. სვანეთში სკოლა არ არის. რატომ არ არის? დემოტონი დიდ ხანს დაუფიქრებიათ და სიგძე სიგანეს გაუზომენ ამ კითხვას. თაკი რაზედ აიტკინონ. ხომ არის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, დაჭკა, მაცისი ბრალიაო. თეატრში ხალხი არ დაიარება, რატომ? ხომ არის რაღაც უბედური კომიტეტი, დაჭკა, მაცი-სი ბრალიაო. «კეოსვის-ტუაოსნის» რედაქცია ერთს სადამოს არ შეუშვიათ ბანკის სადგურში მოსამსახურეებს. რატომ? იმიტომ-რომ ბანკს გამტებელი ჭეკანს, დაჭკა, იმათი ბრალიაო. იმას კი აღარა კითხულობენ, აქვს იმდენი ღონის-ძიება წერა-კითხვის საზოგადოებას, რომ ამოღება საჭიროებას გაჭსწკდეს და სვანეთამდინარე ხელი მიაწვდინოს, თუ არა? არა კითხულობენ, აქვს რაზე ღონის-ძიება თეატრის კომიტეტსა, რომ ხალხი ბლამად მირეკოს თეატრში? არა კითხულობენ იმას, რომ სადამოლობით ბანკში, თუ წინ-და-წინვე არ აცოდინებ, არავინ არ უნდა შეუშვან, თორემ ჯიბიგირები სხვის სახელობით ძალიან ადვილად გაიღებდენ ბანკის კარებს. ანუ თუ ყოველს ამას დიდი ჭკუა და გამოძიება უნდა. არ უნდა, მაგრამ რასა იქ?

ჩვენ ჩვენს საგანს დავშორდით. ჩვენის თეატრის საქმე ჯიუჭამშია იმიტომ-კი არა, რომ კომიტეტია რაღაცა. რაიმედ

აბიტრამ-რამი თვატრმა ხანგრძლივის მოქმედებით უნდა შეი-
 ჩვიოს ხალხი, აუცილებელ საჭიროებად უნდა შეექმნეს ხალხს
 თვატრში დროს გატარება და გართობა. ამისათვის საჭიროა,
 ჰქონდეთ ისა, რამ თვატრი მართლაც თვატრი იყოს, ესე
 იგი, კერძო პირთა მსახურად ასაგდება გი არა, არამედ საზო-
 გადო ჭირისა და ლხინის თვალ წინ წამომდგომი. ამის-
 თვის საჭიროა რიგანი რეპერტუარი. რიგანს რეპერტუარს
 ბძანებით ვერავინ ვერ შექმნის. ეგ დროისა და გონების გახ-
 სნის საქმეა. აქვს ჰქონდეს მოცდა გვართებს, ჩვენდა სამწუხაროდ.
 თუნდ რომ ეგრე არ იყოს. ჩვენის ქალაქის საზოგადოება
 თვატრის საზოგადოება არ არის. თვატრს არსად არც დაბა-
 ლი ხალხი ინახავს, არც ძალადის წრისა. პირველს ამისათვის
 მოცდა არა აქვს და მეორეს უამისოდაც ბევრი გასართობული
 აქვს. თვატრს ყველგან ინახავს გუჯ-მამლანი მოქალაქობა, რა-
 მელიც ჩვენში არამც თუ გუჯ-მამლანი, არამედ ფეხ-აუდგმე-
 ლიცა. სამწუხაროა ეს, თუ სასიხარულო, არ ვიცი. ჩვენ
 მხოლოდ ეს გარემოება აგვიანებს და მიზეზად დაგვინიშ-
 ნავს. სხვა თუ რამ წერილობითი ნაკლებობა აქვს ჩვენს
 თვატრს, ეგ უოკლეივე წარმავალია. ჩვენი დღევანდელი დასი
 თვატრისა ბევრად უკეთესად კვიდება ესა თავის საქმეს, ვიდ-
 დრე დადესმე. წარმოდგენების მსგავლობას მიიყენი არა გვაქვს
 დაკვიდურით. ამ მხრით საქმე სავსოდ კარგად მიტყავო, მაგ-
 რამ ერთი რჩევა გი უნდა მივცეთ და თუ ყურადღება არ მი-
 აქციეს, იმ ერთ მუჭა ხალხსაც შემოიფოთნობენ. რომელიც
 ეხლა დაიარება და თვატრის საქმეს ძირს მოუთხრან: ყო-
 ლის ღონის-ძიებით ურიდებით კერძო პირთა მსახურად აგდ-
 ბას სტენსეიდ. ეგ თვატრის უადრისი ქრევა და შეუნდობე-
 ლი ცოდვა.

მაშ რა ვქნათ, იტყვიან, თუ არც რეპერტუარი გვაქვს და არც მსყურებელი გვეყოლებიანო ჯერ-ხანად? რა გოვრც იყოს უნდა თეატრი მანც-და-მანც შევიჩინოთ, მანც-და-მანც ვამოქმედოთ. რითა და რა გოვრც? შეწირულობითა. ვისაც რამდენი შეგვიძლიან უნდა შევწიროთ და გარდა ამისა ვცადა-ნეთ, რომ სხვადაც შევსწიროს, ამით იქნება იმოდენა მანც მოგროვდეს, რომ თეატრმა თავი იჩინოს. არ იქნება ცუდი, რომ ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ ეს შუამდგომლობა საზოგადოების წინაშე იყოს. წელიწადში სამასი თუმანი სულ ფეხზედ დაყენებს ჩვენს თეატრს იმ მხრით მანც, რომ დანა იყოლება. ჩვენი თეატრი, რაც უნდა იყოს, ჩვენის ეროვნობის საჯარო ნიშანია. ეს ყველა ქართველს უნდა ახსოვდეს, თუ თავის ქვეყნის ბედზედ გულ-ანგრეობული და გულ-აყრილი არ არის.

კორექტურული უმცლოვენი.

ლექსში „განკითხვა“ 1) მესხეთე გვერდზედ, სტრიქონი მე-
პირსე, ქვემოდაძ

სწერის: «დაჭევა ძრისხანით ძღეღავის დედას,»

უნდა იყოს: «დაჭევა ძრისხანის ძღეღავის დენას,»

2) მეშვიდე გვერდზედ, სტრიქონი მეორე, ქვემოდაძ

სწერის: «მაგრამ მის შველას, მის სიხარული»

უნდა იყოს: «მაგრამ მის შველას, მის სიხარული»

3) იმავე გვერდზედ შემდეგ სტრიქონისა:

«ტურთუა ვასეველავი განთიადისა,»

უნდა მიჭევეს 1, 2, 3, 4, 5 და 6 სტრიქონი შემდეგის მეორე
გვერდისა და მასუჟან ოთხი დანარჩენი სტრიქონი მეშვიდე
გვერდისა.

4) მეთვრამეტე გვერდზედ, სტრიქონი მეთოთხმეტე თავი-
დაძ, უნდა ეს შენიშვნა ჰქონდეს: «მასარა შავი წამოსასხამის,
რომელსაც ძღეღავის წამოსასხამენ სოღმე გურთხევის დროს
და შემდეგ საივლაჟში ჩაატანებენ.»



ნეკროლოგი.

რუსეთში გამოზდილს ქართველ უმაწვილ კაცობას კიდევ ერთი წევრი მოაკლდა; რუსეთის ცივმა ჭკამ კიდევ ერთი მსხვერპლი შეიწირა. ამ თვის დამდეგს ს. მაღაროში ჭლექით გარდაცვლილს კოსტანტინე ნაცვლიშვილი. ის ბავშვობის დროსვე გაეგზავნათ კორნეუის სამხედრო გიმნაზიაში და იქ ჩინებულად დაესრულებინა სწავლა. უეტველია რომ ბავშვის სათუთი ბუნება ვერ აიტანდა სასტიკს ჭკეს და იქნება მამინეუ გამაჩნდა ნიშანი იმ საშინელის სნეულებისა, რომელმაც თან გადიტანა. მიცვალებულმა გიმნაზიიდან გამოსვლის დროს თურქეთში ერთი სიტუვაც არ იცოდა ქართული, როგორც ყველა რუსულ გიმნაზიებიდან გამოსულმა ქართველებმა, მაგრამ იმას ესმოდა რომ უქართულად ჩვენ სამშობლოს სიკეთეს ვერ მოუტანდა და ისე ძლიერი იყო ამ სიკეთის მოტანის სურვილი, რომ მასუკან პეტერბურგში ყოფნის დროსვე, ჩინებულად შეისწავლა ჩვენი ენა. შემდეგში ცდილობდა ჩვენს მწერლობასთან მონაწილეობა მიეღო: დაბეჭდა რამდენიმე სტატია «დროებაში» და მისი ერთი წერილი ირლანდიაზედ წრკანდელს «ივერის» მარტის ნომერშიაც იყო დაბეჭდილი. მიცვალებულს დიდ-ძალი სახლობა ჭყავდა და მუდამ იმის ზრუნვაში იყო — ცალკე თავის ოჯახისთვის ეპატრონა, ცალკე თავისი ცოდნა და მერადინეობა საზოგადოებისთვისაც გამოეყენა. ამ ორგვარმა ზრუნვამ გაუძლიერა დიდი ხნის ჩანერგული სენი და ბოლოც მოუღო მის ტანჯვა-წვალებასი გატარებულს მოკლე ხნის უმაწვილ-კაცობას.

ბანსხალეზა.

მომაველს 1882 წელს ჟურნალს «ივერიაზე», ხელის
მოწერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით,

ფასი მთელის წლისა (თორმეტი წიგნი) შვიდი მანათი.

ვისაც ერთად შემოტანა გაუძნელდება, შეუძლიან ოთხი მანათი
შირველს იანვრამდე 1882 წ. შემოიტანონ და დანარჩენი
სამი მანათი შირველს მაისამდე.

ხელის-მოწერა მიიღება «ივერიის» რედაქციაში, რომელიც
იმყოფება მთა-წმინდაში, ხევის ქუჩაზედ, ფარესაშვილის
სახლებში № 9 და აგრეთვე შავრდოვის სააგენტოში.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთ წერილი ჭ ფუელი შემდეგის
ადრესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлисѣ

Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ»

ვისაც ჟურნალი თავის დროზედ არ მიუვიდეს, ვთხოვთ,
ძალე აცნობონ რედაქციას.